რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 8 მარტი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

[illegible]

ხელის მოწერების ფული უნდა ადრესით: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". [illegible] 10—12 საათამდე. [illegible] Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 54 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 54

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ერთობა"-ზე
ხელის მოწერის პირობები:

| | |
|---|---|
| 1 თვით — 4 მან. 50 კ. | 6 თვით — 27 მანეთი |
| 2 თვით — 9 მანეთი. | 1 წლით — 50 მანეთი |
| 3 თვით — 13 მ. 50 კ. | ცალკე № ყველგან 20 კ. |

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება,
შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ მოითხოვა.
გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА".
ამხ. და თანამგრძნობთ გთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

დამწუხრებული ბიძია პავლე, ბიცოლა ალათი, ბიძაშვილები ნადია, მართა, პასიკო, ფედო, ვალერია, ლავრენტი, გიორგი, ვალიკო და დათო წურქაევები, ეფროსინე და გრიშა თუთბერიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარ

ფუთუ (მარიამი) დათიას ასული სოსელიასი

ამ თვის სამს უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ს. გეჯეთის მთავარ ანგელოზის სასაფლაოზე. (1—1)

ღრმად დამწუხრებული სალომე, პართე, ივლიტა, პარასკევა და ლიუბა ჩახავეები, კესარია ბაჩილავასი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, პირველი საყვარელი დის, მეორენი დაუვიწყარ დეიდასი, ხოლო მესამე ქვირფას ლეიდაშვილის

ფუთუ (მარიამი) დათიას ასული სოსელიასი

ამ თვის სამს უდროოდ გარდაცვალებას. მიცვალებული დაკრძალულ იქნება ს. გეჯეთის მთავარ ანგელოზის სასაფლაოზე. (1—1)

ექიმი
ვ. ვ. კლდიაშვილი
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დილის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დილის 1—2 საათამდე.

ექიმი
დ. ი. ქორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებზა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

სამკურნალო კაბინეთი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი ვ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი პ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო მეტეხის გვერდით. ტელ. 15—00.

ექიმი ნ. ლ. ცურიაშვილი
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.
იღებს ყოველ-დღე შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნოთი დასნეულებულ ავადმყოფთ—დილის 9—3 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ბინა № 5.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნავი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის
გ. გ. მეგრაბიანცისა
შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჭლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანნები, პნევმოტორაქსი, დ'არსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
ვ. ლონხინი
ყოფილ იასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს,
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ექიმი ქალი
რ. გ. შოშია-საგაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

## პროვოკატორების ალაგმვა

საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს, როცა ხალხმა მეფის ტახტი დაამხო და მონობის უღელი მოიშორა, გაბატონებული კლასები აშკარა მოღალატურ როლში გამოვიდენ. ერთის მხრით მათ სამშობლოს ჩამორჩენილ კუთხეებში გააძლიერეს თავიანთი ბნელი მოღვაწეობა და ვანდეელების აჯანყება მოაწყვეს; მეორე მხრით გარეშე მტრებს მოურიგდენ და სამშობლო გაყიდეს, უცხოელების ჯარის შემოყვანა განიძრახეს.

დემოკრატიამ ამის საპასუხოთ მეფე და დიდებულები სახრჩობელაზე გაგზავნა და სამშობლო განსაცდელისაგან იხსნა.

საუბედუროთ, საფრანგეთის ამბები ჩვენშიც მეორდება. დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც თელავ-გორ-დუშეთის ნაძირალები ავლაგმეთ, რომ ლეჩხუმის მაზრაში დატრიალდა წმინდა ვანდეია: ნაძირალებმა ხალხის ნაწილი აიყოლიეს, მაზრა ხელში ჩაიგდეს და რევოლიუციონური ორგანიზაციები დაშალეს.

საგულისხმოა, რომ ნაძირალებს იდეიური დამცველებიც გამოუჩნდენ. ასეთი დამცველობა იკისრეს ეროვნულ დემოკრატების გაზეთმა „საქართველომ" და ქართველ თავადების და თათრის ბეგების მოტრფიალე რუსულმა „ვოზროჟდენიემ", რომელიც რევოლიუციის და ქვეყნის თავდაცვის წინააღმდეგ მიმართულ მოღვაწეობისთვის მთავრობამ უკვე დახურა.

„საქართველო"-ს მოღვაწეობა უკვე გვქონდა აღნიშნული გუშინდელ ნომერში, აქ გვინდა შევეხოთ გაზ. „ვოზროჟდენიე"-ს.

„ვოზროჟდენიე"-მ ბ. კ. თუმანოვის ხელმძღვანელობით ამ ბოლო დროს ხელობათ გაიხადა ორი რამ: ერთის მხრით ის ათასგვარ ცრუ ხმებს ავრცელებს ადგილობრივ მოხელეთა მოღვაწეობის შესახებ, ხოლო მეორე მხრით ცხარე პროპაგანდას ეწევა ამიერ-კავკასიის საზღვრების დაცვის წინააღმდეგ. ამ მეორე გვარი მოღვაწეობისათვის ის უკვე დახურეს, რაც ჩვენის ფიქრით აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა. დღეს, როცა გარეშე მტერი ამიერ-კავკასიის საზღვრებს უახლოვდება და ჩვენს სამშობლოს და რევოლიუციას საფრთხეს უმზადებს, შეუძლებელია დავუშვათ სამშობლოს დაცვის წინააღმდეგ მიმართული აგიტაცია. და ვინც ახლიევის, ასად ახ—ევის და სხვების წერილებს კითხულობს, მისთვის აშკარაა, რომ „ვოზროჟდენიე"-ს სწორეთ ასეთი აგიტაცია დაუსახავს მიზნათ.

სულ სხვაა მთავრობის მოხელეთა კრიტიკა. ასეთი კრიტიკა ყოველთვის სასარგებლოა და ყველა პატიოსანი ჟურნალისტი ვალდებულია ამას ანგარიში გაუწიოს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ „ვოზროჟდენიე"-მ აქაც დაამახინჯა ჟურნალისტის ეს პატიოსანი მოვალეობა და კრიტიკის ნაცვლათ ის შეუდგა ღვარძლის და ბოროტების თესვას.

ასეთის მოღვაწეობის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ამ გაზეთის 4 მარტის ნომერში მოთავსებული წერილი მიმართული გუბერნიის კომისარისადმი. წერილს ხელს აწერს „უბედური საქართველოს თავისუფალი მოქალაქე". საინტერესოა წერილის დასაწყისი, რომელშიაც ავტორი თავს იქებს და თანაც გვიხსნის, თუ რათ მალავს ის თავის ვინაობას. რასაკვირველია, ვის რა ექნება იმის წინააღმდეგ, რომ ავტორმა თავისი ვინაობა დამალოს, მაგრამ რას ნიშნავს მისი ასეთი განმარტება:

„მოგმართავთ თქვენ, ბ. კომისარო, მაგრამ საუბედუროთ, გარემოება მაიძულებს ჩემი ვინაობა დავმალო.—არა იმიტომ, რომ ასე მსურს, არამედ იმიტომ, რომ ჩემი მახლობლების ბედი მაშინებს". „არ გეგონოს, ვითომ კონტრ-რევოლიუციონერი ვიყვე... ჩემსა და თქვენს შორის ის განსხვავებაა, რომ მე მშრომელი ხალხისთვის მეტი უფლებები მინდა, ვინემ თქვენ, როგორც სოც.-დემ. მენშევიკს"-ო.

მკითხველი ტყვილა შეიწუხებს თავს, რომ გაიგოს, თუ რისი თქმა სურდა ბ. „თავისუფალ მოქალაქეს". დავიჯეროთ, ის მენშევიკებზე უფრო მემარცხენეა და ამისთვის სდევნიან? რაში გამოიხატა მისი მემარცხენეობა?

გადაიკითხეთ მისი წერილი და თქვენ გაიგებთ, რომ თურმე გორის მაზრაში ყველა ყაჩაღობა და მკვლელობა ხდება ჩვენი სახელით და ყველა ეს ავი კაცები ჩვენი პარტიის ძველი მოღვაწენი ყოფილან, თურმე ჩვენმა კომისრებმა კარგათ იციან, თუ ვინ არიან ეს მავნე კაცები, მაგრამ მათ მალვენ, თვით გუბერნიის კომისარი თურმე ზომებს არ იღებდა და თუ ხაშურში და ბორჯომში გაემგზავრა არა ანარქიის წინააღმდეგ საბრძოლველათ, არამედ რაღაც სხვა მიზნით. მთელი წერილი აშკარათ, ხაზგასმით აცხადებს, რომ სოციალ-დემოკრატია მისი აგენტები—კომისრები ან პირდაპირ ღებულობენ მონაწილეობას იმ დარბევაში, რასაც გორის მაზრაში ქონდა ალაგი, ან ამ ბოროტებას ხელს აფარებენ, ყაჩაღების ვინაობა იციან და არ ამხელენ.

ესმის თუ არა „ვოზროჟდენიე"-ს რა საარაკო ბრალდებას აყენებს ის მთელი გუბერნიის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. საჭიროა საჯარო, პირუთვნელი სასამართლოს დანიშვნა. სასამართლომ უნდა გამოარკვიოს ბრალდების სინამდვილე და დამნაშავე სასტიკათ უნდა დაისაჯოს.

„ვოზროჟდენიე"-ს დახურვა საკმაო არ არის, საჭიროა რედაქტორის პასუხისგებაში მიცემა, რომ ხალხის მტრებმა ღირსეული სასჯელი მიიღონ.

ჩვენ ვასამართლებთ ყაჩაღებს.

რათ უნდა დარჩენ დაუსჯელნი კალმის ავაზაკები იმ დროს, როცა თითეულ ღვარძლიან სიტყვას აურაცხელი ზარალის მოტანა შეუძლია?

## ანარქია და მიწის საკითხი

ჯერ დამშვიდება, მერე რეფორმებიო, განაცხადა ერთხელ სათათბიროში რუსეთის რეაქციის ჯალათმა სტოლიპინმა.

სტოლიპინის მიმდევრები ჩვენშიაც ბლომათ მოიპოებიან. ესენია, რომ ყოველ გზა ჯვარედინზე გაჰკივიან ანარქიის გაძლიერებისა და მთავრობის უძლურების შესახებ. მყუდრო ცხოვრება ყველას სწყურია, მაგარი მთავრობის საჭიროებას ყველა აღიარებს. მაგრამ რა საშუალებით შეიძლება ამის მიხწევა, ამაზე არავინ ფიქრობს ან უკეთ რომ ვსთქვათ, ბევრს სურს მაგარი მთავრობა, მაგრამ მაგარი ძველებურათ, ესე იგი დემოკრატიის ზურგზე მოპარპაშე.

არავის ისე არ ესაჭიროება წეს-რიგი, როგორც დემოკრატიას, მაგრამ ეს წესრიგი მხოლოდ ხალხის უმრავლესობას უნდა დაეყრდნოს. ჩვეულებრივ დროს კარგი ორგანიზაცია კიდევ ახერხებს ხალხის უმრავლესობის დამორჩილებას, მაგრამ რევოლიუციის ხანაში არავითარ ძალას არ შეუძლია უმცირესობის სასარგებლოთ უმრავლესობა მართოს.

ყოველივე რევოლიუციას თან სდევს ძლიერი ანარქია, სხვანაირათ არც შეიძლება იყოს: ძველი გაბატონებული კლასის მართველობა ისპობა, და იმავე დროს ახლის დამყარება გვიანდება. ეს იწვევს არევ-დარევას.

ამიტომ რევოლიუციონურ დემოკრატიას [illegible] ვალია მთავარი ყურადღება რეფორმებს მიაქციოს და იმავე დროს ადმინისტრატიული აპარატიც აამუშაოს. რეფორმების გატარებას შევნებული და შეუგნებელი მტრები უჩნდება და რევოლიუციონურ მთავრობის მოვალეობაც სწორეთ ის არის, რომ რეფორმის მოწინააღმდეგენი ალაგმოს. სხვა პირობებში ვერც ერთი რევოლიუციონური მთავრობა ვერ იარსებებს.

ერთი მთავარი რეფორმა, რომელიც ცხოვრებამ წამოაყენა გადასაჭრელათ მიწის საკითხია. ამ საკითხს უნდა მიექცეს ჩვენი უპირველესი ყურადღება. მიწა უსასყიდლოთ უნდა გადაეცეს მშრომელ ხალხს. ამ დებულების წინააღმდეგ გვეუბნებიან: თუ მიწებს უსასყიდლოთ ართმევთ, ბარემ სახლები და ქარხნებიც ჩამოართვით პატრონებს და გაანაწილეთო.

ჩვენ ამის წინააღმდეგი ვართ. სოციალიზმისთვის ჩვენი საზოგადოება ჯერ მომწიფებული არაა, რაც რუსეთში ლენინის მაგალითმა უკვე აშკარა ჰყო. განაწილება არ არის სოციალიზმი, და დღეს რომ ჩვენში არსებული მიწათმფლობელობა მონობის სათავეს არ წარმოადგენდეს, რომ ის ხელს არ უშლიდეს სოფელში მეურნეობის განვითარებას, ჩვენ მას ხელუხლებლათ დავტოვებდით. მაგრამ დღევანდელი მიწათმფლობელობა მთელ ხალხს მძიმე ტვირთად აწევს და მეურნეობას ბოჰავს. ამიტომ მიწა უნდა გადაეცეს მშრომელს. ეს ლოზუნგი რევოლიუციამ წამოაყენა და მისი გადაუჭრელათ დატოვება ყოვლად შეუძლებელია.

ამიტომ ჩვენ სიხარულით უნდა მივეგებოთ სეიმის მიერ ამ საკითხის დღიურ წესრიგში დასმას.

ამიერ-კავკასიის კომისარიატმა უკვე გამოსცა დეკრეტი, მაგრამ ის ჯერ არ განხორციელებულა. სეიმმა ის უნდა დაადასტუროს, შიგ ზოგიერთი შესწორება შეიტანოს და მის განხორციელებაზე იზრუნოს. რა მნიშვნელობა აქვს კანონს, თუ კი ის ცხოვრებაში არ იქნება გატარებული. და სეიმმაც სწორეთ საქმის ამ მხარეს უნდა მიაქციოს მთავარი ყურადღება.

ამისთვის საჭიროა დაუყოვნებლივ ჩამოსართმევ მიწის რაოდენობის გამორკვევა. ესე იგი დადგენა იმისი თუ რამდენი მიწა შეიძლება დატოვებულ იქნას მემამულის ხელში.

ჩვენ ვიცით, რომ აქ მეცნიერების სახელით შეგვებრძოლებიან. გვეტყვიან: საჭიროა სტატისტიკურ ცნობების შეგროვება, საგნის ყოველმხრივი შესწავლა და ამის მიხედვით ნორმის გამომუშავებაო.

მეცნიერება კარგი რამ არის, მაგრამ მეცნიერული შესწავლა რამდენიმე წლის მუშაობას მოითხოვს. ეს ლოდინი კი შეუძლებელია.

მეორე საკითხი, რომელსაც სეიმმა ყურადღება უნდა მიაქციოს—ეს არის შექმნა იმ ორგანოების, რომლის შემწეობით მიწის რეფორმა ცხოვრებაში უნდა გატარდეს. ჯერ-ჯერობით დაარსებულია საადგილ-მამულო კომიტეტები, მაგრამ ასეთი კომიტეტები ყველგან არ არის მოწყობილი და სადაც არის, ყველა არ შეეფერება თავის დანიშნულებას. არის ისეთი კომიტეტები, რომელშიაც მემამულეებს მოუკალათებიათ. საჭიროა ასეთის კომიტეტების დაშლა და ახლების შედგენა.

ეს მოვალეობა სეიმმა უნდა იკისროს და თავის ავტორიტეტული ორგანოების საშუალებით უნდა მოაწყოს ეს საქმე.

დაწვრილებით ჩვენ შემდეგ მოველაპარაკებით მკითხველებს, და მიწის კანონს წერილების მთელ რიგს მოვანდომებთ. ახლა გვინდა ერთხელ კიდევ მივუთითოთ მიწის რეფორმის დაჩქარების საჭიროებაზე. რამდენიმე კვირის განმავლობაში საბოლოვოთ უნდა გავათაოთ მიწის საქმე. წვრილმანები გადაუწყვეტი დაგვრჩება. მაგრამ ის, რაც თავი და თავია, დღესვე უნდა გადავჭრათ.

ხალხი ბევრს ალაგას უკვე დაეპატრონა მიწებს. მაგრამ ამ დაპატრონებას უთავბოლო ხასიათი აქვს. თანაც ხალხი დარწმუნებული არაა, რომ მიწა მის ხელში უდავოთ გადავიდა.

ამ უწესრიგობას და გაუგებრობას ბოლო უნდა მოეღოს.

ვისაც უყვარს ხალხი, მეტსაც ვიტყვით, ვისაც წესიერების დამყარება სურს, მან მიწის საკითხის გადაჭრას ხელი უნდა შეუწყოს. ისე ანარქია არ მოისპობა.

## პრესა

„სახალხო საქმე"-ს ნათლათ დაუმტკიცეთ, რომ ფედერალისტების კონტრ-რევოლიუციონური სურვილი რუსეთის დაშლის შესახებ ასრულდა. ჩვენ რასაკვირველია, ფიქრადაც არ მოგვსვლია, ვითომ ჩვენებურს ფედერალისტებს შესძლებოდეს რუსეთის დანგრევა, რადგან ეს მათს ძალას აღემატება, მაგრამ რამდენათაც მათი პროპაგანდა-აგიტაცია ცხოვრებაში არსებულ გამხრწნელ მიმდინარეობის გამომხატველია, იმდენათ მას ჩვენ ანგარიშს ვუწევთ.

„სახალხო საქმე"-ს უფიქრია, რომ ფონს გასასვლელათ მაგარი სიტყვებია საჭირო და ისიც გვიმასპინძლდება: „კუზიანს სამარე გაასწორებსო, „ერთობა" კვლავ იმეორებს ჭორებსო" და სხვ.

რა არის ჭორი? ის რომ ფედერალისტები დემოკრატიულ ფრონტის დაშლას ეტრფოდენ? ჩვენ ხომ უტყუარი საბუთები მოვიყვანეთ ამის შესახებ. რითი შეარყია „სახალხო საქმემ" ამ საბუთების მნიშვნელობა? მას ამოუწერია ჩვენ მიერ მოყვანილი ბრალდებები და უმატებს:

„ყოველი სტრიქონი აქ სიყალბე, თაღლითობა, ფაქტების გადამახინჯებაა. „ერთობა"-ს ჰგონია, რომ დემოკრატიის ერთობა მხოლოდ ცენტრალიზმშია, ჩვენ კი არა ერთხელ დავამტკიცეთ, რომ თანამედროვე ომში სწორედ იქ დამარცხდა დემოკრატია, სადაც ცენტრალიზმის ბრჭყალებში ხედავდა ხსნას, ხოლო უდიდესი გამარჯვება იმ დემოკრატიას ხვდა, სადაც ფედერატიული მთლიანობა იყო"-ო.

ამნაირათ, „სახალხო საქმე", საბუთების ნაცვლად იმეორებს ერთხელ გაზეპირებულ დებულებას, რომ ფედერაცია სჯობია ცენტრალიზმს. მას რომ სინამდვილის გაგება შეეძლოს, დაინახავდა, რომ ამიერ-კავკასია ერთად-ერთი კუთხეა რუსეთში, სადაც დემოკრატია ცენტრალიზმის ნიადაგზე დგას და იმავე დროს რევოლიუციის მოპოებანი ჯერჯერობით დაცულია. შეიძლება ეს მთლიანობა დაირღვეს და რევოლიუცია დაიღუპოს, მაგრამ ეს იქნება სწორეთ ფედერალისტების გამარჯვება.

ასეთს „გამარჯვებას" ჩვენ მთელი ჩვენი არსებით ვებრძვით.

* * *

ამიერ-კავკასიის მთლიანობა არ მოსწონს არც ნაციონალ-დემოკრატების ორგანოს „საქართველო"-ს, რომელიც დონკიხოტებათ ნათლავს სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეებს:

„მხოლოდ ჩვენს პოლიტიკურ დონკიხოტებს არ დაუკარგავთ ჯერ კიდევ მთელი ამიერ-კავკასიის აშენების იმედი თანახმად თავისი ინტერნაციონალური პროგრამისა.

„ჯერ-ჯერობით მათი პოლიტიკის შედეგი ის არის, რომ ქართველ ერს თავზე დაუსვეს ამიერ-კავკასიის კომისარიატი რუსული, სომხური და თათრული შემადგენლობით".

აი თურმე სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული. ალბათ „საქართველო" ფიქრობს ქართველი მინისტრები დაუსვას სომხებს და თათრებს!

## საერთაშორისო დემოკრატია და ომი

ომის დაწყებამდე იშვიათი იყო ევროპაში ისეთი პოლიტიკური მოაზროვნე, რომელიც არ ყოფილიყოს დარწმუნებული, რომ ომი კარზე გვადგია. ამ მხრივ განსხვავება არ არსებობდა იმპერიალისტებსა თუ სოციალისტებს შორის. როგორც პირველნი, ისე უკანასკნელნი ამტკიცებდენ, რომ ომი აუცილებლათ იფეთქებს ევროპაშიო: ერთი იმპერიალისტების ლიდერთაგანი სწერდა: „იმდენი იარაღი დამზადდა ევროპაში, თოფის წამლის სუნით ისე გაიჟღენთა ჰაერი, რომ თუ ომი არ დავიწყეთ, თოფები უჯარისკაცოდ დაიწყებენ სროლასო", ის მოუწოდებდა მთავრობას ომის გამოცხადების დაჩქარებისა. სოციალისტები თუმცა დარწმუნებულნი იყვენ ომის აუცილებლობაში, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ზრუნავდენ ისეთი გზების გამონახვას, რომელიც ამ აუცილებლობას ააცდენდა ევროპას. ომის აცდენის საშუალებების გამოკვლევის დროს, ბევრი სოციალისტი სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა და ბოლოს იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ რამდენიც უნდა შეეცადოს მუშა ხალხი, ომს მაინც ვერ ავიცდენთო. ასეთ დასკვნამდე მივიდა გამოჩენილი ფრანგი სოციალისტი სანბა თავის შესანიშნავ თხზულებაში: ან მეფე ან ზავი. ზოგნი კი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ პროლეტარიატი, როგორც ომის ბუნებრივი მტერი, შესძლებს სათავეშივე ომის ჩაშლასო.

როგორც ვიცით, სამწუხაროთ პესიმისტ სანბას აზრი გამართლდა. ომი მთელს ევროპას მოედო, მუშა ხალხმა ვერ შესძლო მისი აცდენა. ამას თავისი ღრმა მიზეზები ჰქონდა. მე არ მსურს აქ ამ მიზეზების გამოკვლევა, მინდა მხოლოდ შევჩერდე ერთ მომენტზე. როგორც ვიცით, მუშა ხალხი ინტერნაციონალური დროშის ქვეშ იყრის თავს აგერ რამდენიმე ათი წელიწადია. მხოლოდ ფაქტიურათ, სოციალ-დემოკრატიის მთელი მოქმედება ამ ხნის განმავლობაში თავსდებოდა სახელმწიფოებრივ ან ნაციონალურ ფარგლებში. გერმანიის

სოციალ-დემოკრატიის მუდმივი, ყოველდღიური პარტიული მოქმედება გერმანიით განისაზღვრებოდა. ასე მოქმედობდა საფრანგეთის და სხ. ქვეყნების მუშათა პარტია. გერმანიის მუშა ხალხი მაგ. შედარებით ნაკლებათ იცნობდა სხვა ქვეყნებში მუშათა მოძრაობის, როგორც ფორმებს, ისე სიძლიერეს ამ მოძრაობის და სხ. სხვა ქვეყნების მუშათა მოძრაობა შედარებით მას ნაკლებათ აინტერესებდა, და ეს ხდებოდა, სხვათა შორის, იმიტომ, რომ არ არსებობდენ მუდმივი, შემაკავშირებელი ორგანოები სხვადასხვა ქვეყნის მუშებისთვის. სხვადასხვა ფორმის ინტერნაციონალური ყრილობები არ იყო საკმაო მუშათა მჭიდროთ შესაკავშირებლათ.

არსებობდა ინტერნაციონალური მუდმივი ბიურო. მას როგორც მუდმივ დაწესებულებას უნდა ეწარმოებინა ინტერნაციონალური საქმიანობა. მაგრამ, სამწუხაროთ, ბიურო ნაკლებათ ასრულებდა ამ მისთვის უპირველეს მოვალეობას. მაგ. ბიურომ ვერ შესძლო ერთი ინტერნაციონალური ორგანოს გამოშვება, რომლის წყალობით ერთი ქვეყნის მუშებს შეძლება მისცემოდა სხვა ქვეყნის მუშების მოძრაობას გასცნობოდენ. ასეთი ორგანოს გამოშვება ინტერნაციონალურმა ბიურომ სცადა 1912 წ., მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა არ მოხერხდა. პარტიის ცენტრალური ორგანოებიც ნაკლებ ცნობებს აწვდიდა თავის მკითხველებს სხვა ქვეყნებში მუშათა მოძრაობის შესახებ. მხოლოდ „ფორვერტსი“, გერმანიის ს.-დ. ცენტრალური ორგანო ასე თუ ისე საკმაო ცნობებს იძლეოდა სხვა ქვეყნების მუშათა ცხოვრებიდან. „ჰუმანიტემ“, საფრანგეთის ს.-დ. ცენტრალურ ორგანომ მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში საკმაო ადგილი დაუთმო საერთაშორისო მუშათა მოძრაობას თავის ფურცლებზე, ბელგიის ს.-დ. ცენტრალური ორგანო მუშათა საერთაშორისო მოძრაობაზე თითქმის არაფერს სწერდა. ესევე ითქმის სხვა ქვეყნის სოციალისტურ ორგანოებზედაც.

როცა მსოფლიო ომი დაიწყო, სხვადასხვა ქვეყნის მუშები გაყვნენ თავის მთავრობებს, გასწყდა ის უკანასკნელი ძაფიც, რომელიც ასე თუ ისე აერთებდა საერთაშორისო პროლეტარიატს. მუშათა სოლიდარობა დაიქსაქსა. საჭირო იყო დიდი დრო და დიდი მუშაობა ამ დაქსაქსულ ძალთა გასაერთიანებლათ. პირველათ სცადეს დაქსაქსულ ძალთა მოგროვება ციმმერვალდელებმა. ამ ცდას უნაყოფოთ არ ჩაუვლია. ციმმერვალდელების ირგვლივ შემოკრბა მცირედი, მაგრამ ორგანიზაციულათ მჭიდროთ შეკრული სხვადასხვა ქვეყნების მუშათა ჯგუფი. ინტერნაციონალმა ხელ-ახლა ფეხი მოიკიდა. საჭირო იყო ინტერნაციონალური ლოზუნგების ფართე მასაში გადაიტანა, საჭირო იყო „ბურგფრიდენის“ (სამოქალაქო ზავის) დარღვევა, კლასობრივი პოლიტიკის ფართეთ ამუშავება, საერთაშორისო სოლიდარობის აღდგენა. ამის გაკეთება არა ერთი და ორი დღის მუშაობით შეიძლებოდა. ამ მუშაობისთვის საჭირო იყო მოწვევა მთელი რიგი საერთაშორისო კონფერენციებისა.

ასეთი კონფერენციების მოწვევა-მოწყობაც დიდ სიძნელეს წარმოადგენდა; ევროპის იმპერიალისტები უფრთხოდენ ასეთ კონფერენციებს, უფრთხოდენ მუშათა კლასის სოლიდარობას და იმპერიალიზმის წინააღმდეგ გაბრძოლებას. სწორეთ ამისთვის იყო, რომ არა ერთხელ ჩაშალეს ასეთი კონფერენციები. რუსეთის რევოლიუციის წყალობით გადადგმული იქნა დიდი ნაბიჯი სოლიდარობის აღსადგენათ. რუსეთის ს. დ. შეეცადა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა თვით ეკისრა. მაგრამ მას წინააღუდგენ არა მარტო ევროპის იმპერიალისტები, რაც თავის თავათ მისახვედრია, კონფერენციის მოწვევის წინააღმდეგ გაილაშქრენ ბოლშევიკებიც. საერთაშორისო კონგრესი არ შედგა. მისი ჩაშლით მუშა ხალხს საშუალება მოესპო მუშა ხალხის ძალებს ინტერნაციონალურ დროშის ქვეშ მოეყარა თავი. ჩვენ არას დროს არ ვფიქრობდით, რომ კონფერენცია შეიძლებდა სასწაულის მოხდენას, რომ ის რამოდენიმე დღის მუშაობით მოახერხებდა მთელი მუშა ხალხის თავის ირგვლივ შემოკრებას, რომ ის რამოდენიმე დღეში გადასწყვეტდა ზავის საკითხს,—ჩვენ მხოლოდ გვწამდა, რომ სტოკჰოლმის კონფერენციით დაიწყებოდა ხანა მთელი რიგი საერთაშორისო კონფერენციებისა, რომ ეს კონფერენციები თანდათან შესძლებდენ მთელი მუშა ხალხის გამოიყვანას იმპერიალისტების კლანჭებიდან, საკუთარი კლასობრივი პოლიტიკის გზაზე დაყენებას, დარღვეულ სოლიდარობის აღდგენას და განამტკიცებენ და სხ.

ამრიგათ მთელი ევროპის მუშა ხალხი ერთ რევოლიუციურ რაზმათ გადაიქცეოდა, და ეს უკვე დიდი ძალა იქნებოდა ზავის პირობები თვით ეკარნახებინა ევროპის იმპერიალისტებისთვის. ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო, ეს დემოკრატიული ლოზუნგი, შესაძლოა ფაქტი გამხდარიყო. ეს კონფერენციის არ მოწვევით, სეპარატიული ზავის შეკვრით რუსეთის მიერ გერმანელებთან დემოკრატიული ზავის შეკვრა უკვე ოცნებათ გადაიქცა. რაც შეეხება ინტერნაციონალის აღდგენას, ეს დიდი ხნით გადიდვა. რუსეთის დემოკრატიის დამარცხება, მას შემდეგ, რაც სამარცხვინო ზავი შეიკრა გერმანიის იმპერიალისტებთან ფაქტათ უნდა ვაღიაროთ. რუსეთი დღეს გერმანიის იმპერიალისტების ახალშენათ გადაიქცა. ეკონომიურათ და პოლიტიკურათ დამორჩილებული სახელმწიფოს დემოკრატია ძალას აღარ წარმოადგენს, რევოლიუციონურ ფაქტორათ ვერ გახდება დიდი ხნით მაინც. მაგრამ გერმანიის იმპერიალისტების გამარჯვება და რუსეთის დემოკრატიის დამარცხება იწვევს დემოკრატიის დამარცხებას მთელს ევროპაში. თვით გერმანიაში, როგორც გაზეთებიდან ვტყობილობთ, გაძლიერდა რეაქცია. ყოველი პროტესტი მუშების მხრივ ომის გაგრძელების წინააღმდეგ ისჯება საშინლათ, თუ დღემდის სდევნიდენ სოციალისტების მემარცხენე ფრთას, ეგრეთ წოდებულ დამოუკიდებელ სოციალისტებს, დღეს თვით „სოციალისტ-პატრიოტების“ წინააღმდეგაც სასტიკ ზომებს ღებულობენ.

საფრანგეთში დღეს მეორდება ის, რაც ომის დაწყებისას ხდებოდა. ომის დაწყების პირველ ხანებში სოციალდემოკრატებს სდევნიდენ სასტიკათ. სდევნიდენ თვით მძიმეთ დაჭრილ ჯარისკაცებს თუ კი ისინი სოციალისტები იყვენ. საკმაო იყო საავათმყოფოს მოსამსახურეებს გაეგოთ, რომ დაჭრილი ჯარისკაცი სოციალდემოკრატია, მას არა მარტო დასცინოდენ, და ამ რიგათ მორალურათ სტანჯავდენ, თვით მოვლას და წამლობას აკლებდენ! მხოლოდ ენერგიულ პროტესტის შემდეგ მუშების მხრივ, ასეთი მოპყრობა ცოტათი თუ ბევრათ შემცირდა; დღეს ამასვე ვამჩნევთ. საფრანგეთში სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლა შეიქნა სისტემატიური. დღეს მთელს საფრანგეთში სდევნიან არა მარტო ომის მოწინააღმდეგეებს, რეპრესიები მიმართულია თვით ულტრა პატრიოტი სოციალისტების წინააღმდეგაც. ჩვენ არ ვიცით, თუ რა ხდება ინგლისში, მაგრამ ეჭვს გარეშეა, დემოკრატიის დაქანება რუსეთში, გერმანიაში და საფრანგეთში გამოიწვევს ასეთივე დაქანებას ინგლისშიდაც. დემოკრატიის დამარცხება ერთ ქვეყანაში იწვევს დემოკრატიის შესუსტებას სხვა ქვეყნებშიაც.

ი. სალაყაია.

## მიწის საკითხი

ამიერ-კავკასიის სეიმს განსახილველათ წარუდგინა აგრარულმა კომისიამ შემდეგი დებულება:

„მიწისმფლობელთა ხელში დატოვებულ მიწის ნორმა და საადგილმამულო რეფორმების განსახორციელებელი ზომები“.

ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ 1917 წელს 16 დეკემბერს შემუშავებულ დებულების სახაზინო, საუფლისწულო, სამონასტრო და კერძო მიწების კომიტეტებზე გადაცემის შესახებ, შესაბამისათ კომისიამ დაადგინა:

1) ყველა კერძო მეპატრონეთა მიწები, გარდა იმ ზომისა, რაც აღნიშნულია შემდეგ სტატიაში (2) ჩამოერთმევა მეპატრონეთ და სრულიად უფასოთ გადავა საადგილ-მამულო ფონდში, რომელიც საადგილ-მამულო კომიტეტების განკარგულებაში იქნება.

2) ჩამორთმეულ მამულების მეპატრონეთ დაუტოვებენ.

ა) 7 დესეტინას, თუ ამ რაიონში ეწევიან ძვირფას კულტურის მეურნეობას.

ბ) 15 დესეტინას, უკეთუ მარტო პურის თესვას მისდევენ ამ რაიონში.

გ) და 40 დესეტინას უკეთუ შინაურ საქონლის მოშენებას მისდევენ.

შენიშვნა 1) საოლქო და საგუბერნიო საადგილ მამულო კომიტეტებს უფლება ეძლევათ, ადგილობრივ პირობების მიხედვით, ამ სტატის ძალით მიწის მეპატრონეზე დატოვებულ მიწების ზომა გაადიდოს; როცა პირველ კატეგორიის მამული ჩამოერთმევა ათ დესეტინამდე, როცა მეორე კატეგორიის 20 დესეტინამდე და მესამე—50 დესეტინამდე.

შენიშვნა 2) მეპატრონეზე დატოვებულ მიწის ზომაში შედის სამოსახლო ადგილებიც.

3) ხიზნების და ჩამოსახლებულების მიწები, რომლებითაც იგინი „ტაპურ“ უფლებით სარგებლობენ მათ რჩებათ, მხოლოდ იმდენი, რამდენიც აღნიშნულია მეორე სტატიაში.

4) რომ კერძო პირთაგან, მონასტრების, სახაზინო და საუფლისწულო ჩამორთმეულ მიწების კომიტეტებზე გადაცემა ჩქარა მოხდეს, მიწათ-მოქმედების სამინისტროს კომისარს უფლება ეძლევა გაგზავნოს ადგილობრივ საგანგებო რწმუნებულნი, რომელთაც განსაკუთრებული უფლებები ექნებათ და იმოქმედებენ ამიერ-კავკასიის სეიმის სახელით.

5) ამ რწმუნებულებს უფლება ეძლევათ: დაარსონ საადგილ-მამულო კომი-

[illegible]

პირველი სტატიის 1 და 3 შენიშვნა უქმდება.

8) ეს კანონი ძალაში შედის იმ დღიდან, რა დღიდანაც მას ამიერ-კავკასიის სეიმი მიიღებს.

## კავკასიის ფრონტი

6 მარტის თარიღით გამოგზავნილი მოხსენების თანახმად შავი ზღვის ნაპირად ოსმალთა ჯარის მოწინავე რაზმებს დაუკავებიათ ჩვენი მოსაზღვრე სადარაჯოები—ლიმანი და სულთან-სელიმი.

## ირაკლი წერეთლის სიტყვა

(წარმოთქმული სეიმის 5 მარტის სხდომაზე).

მოქალაქენო, ხალხის წარმომადგენელნო! არდაგანში მომხდარ ამბების შესახებ საკითხის განხილვის დროს ზოგიერთ ფრაქციების წარმომადგენლებმა დაუშვეს სებედისწერო შეცდომა, რომელზედაც საჭიროა შევჩერდეთ. აქ ამბობდენ, რომ არდაგანში ღალატს ქონდა ადგილი და ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს. იქ, არდაგანში ღალატი არ არის, იქ არის ანარქია, რომელიც რუსეთშიაც მძვინვარებს მე ვფიქრობ, მოქალაქენო, რომ იმის შემდეგ, რაც ჩვენ დავინახეთ იქ, რუსეთში და აქ, ამიერ-კავკასიაში, ჩვენ შეგვიძლია შემდეგი დებულება ჩვენი პოლიტიკის გამოსავალ წერტილათ გავხადოთ. ჩემის აზრით ღალატსა და ანარქიას შორის დღევანდელ მომენტში განსხვავება არ არის. (ტაში). ვინც მოუწოდებს სხვისი ქონების ძალით ხელში ჩაგდებისაკენ, დემოკრატიულ ამიერ-კავკასიის მთლიანობაზე ძალადობის მოხდენისაკენ იმ დროს, როცა რევოლიუციონურ ამიერ-კავკასიას მთელის გარეშე საფრთხე, ის მოღალატეა და გამცემი როგორც რევოლიუციის ისე, ამიერ-კავკასიის.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ამიერ-კავკასიას ყავს საშინელი მტრები, როგორც შინაური, ისე გარეშე და ჩვენ ვიცით, რომ მთელი წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის დემოკრატია აწარმოებდა ამ საშინელ ბრძოლას, რომ დაეცვა თავის თავისუფლება, თავის არსებობა და თუ საშინელ განსაცდელის შემდეგ მან შესძლო შეენარჩუნებია თავის არსებობა და დაეცვა თავის მონაპოვარი, თუ ჩვენ შევსძელით დღევანდელ მომენტში დაგვეცვა თავისუფლება—ეს არა იმიტომ, რომ ჩვენ ძალით განვსხვავდებით რუსეთიდან, რომელიც დღეს დამარცხებულია, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ აქ შევძელით დემოკრატიის მთლიანობის დაცვა. ჩვენ შევსძელით თავიდან აგვეშორებია ძმათა შორის ბრძოლა, რომელსაც ჯერ კიდევ არ გაუნადგურებია დემოკრატიული პოლიტიკა და ეს იარაღი ჩვენ კიდევ შეგვრჩა. ახლა, როცა ჩვენ დაღუპვის პირას ვიმყოფებით და განცალკევებული ვართ, ჩვენ უნდა შევკავშირდეთ ჩვენის პასუხისმგებლობით დემოკრატიის დასაცავათ. ვინც მიდის შეკავშირების, [illegible]ვოლიუციონურ დემოკრატიის ერთობისა და სოლიდარობის წინააღმდეგ, ის ყველაზე უფრო საშინელი მოღალატე და გამცემია, მოქმედობს იგი შინაურ კონტრ რევოლიუციონურ ძალთა ჩაგონებით თუ შეუგნებლათ ემორჩილება ანარქიას. მე ვფიქრობ, რომ როცა ჩვენ აქ, სეიმში ვიხილავთ ისეთ მოვლენებს, როგორისაც ადგილი აქვს არდაგანში, კავკასიის დემოკრატიის მხრით თავის მოვალეობის დავიწყება იქნებოდა, თუ იგი, ამ საბედისწერო მომენტში შეუდგებოდა შემამსუბუქებელ გარემოებათა გამოძებნას იმ გამოსვლებისათვის, რომლებიც ლახვარს სცემენ ჩვენი დემოკრატიის, ჩვენი ქვეყნის ყველაზე უფრო სასიცოცხლო ცენტრს. თუ კავკასიის დემოკრატია, ყოველ გვარ ანარქისტულ გამოსვლების დროს არ დაარქმევს ამას იმ სახელს, რომლის ღირსიც არის ასეთი გამოსვლა, არ მიიღებს იმ ზომებს, რომლებიც ძირშივე ჩაკლავდენ ასეთ გამოსვლების შესაძლებლობას, მან უნდა დაუსვას ჯვარი ყველა თავის იდეალებს და თავის არსებობას. იგი უნდა ფეხზე დადგეს ყოველ ასეთ გამოსვლე-

[illegible]

თავის ნებით ისაკუთრებენ იმას, რაზედაც ისინი თავის უფლებას სცნობენ. მე კი ვამტკიცებ: თუ ჩვენ ვცნობთ შეკავშირებულ კავკასიის დემოკრატიას, თუ ჩვენ ვცნობთ კავკასიის დემოკრატიულ მთავრობის ძალა-უფლებას, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ყოველგვარი ასეთი გამოსვლა, განსაკუთრებით საზავო მოლაპარაკების დროს, როცა ომის დასრულება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ფაქტიურ ძალას წარმოადგენს კავკასიის დემოკრატია — ყოველგვარი ასეთი გამოსვლა არის მიმართული შეკავშირებულ დემოკრატიის წინააღმდეგ და იმუქრება, როგორც იქ, რუსეთში, სადაც ანარქიამ მისცა ხელფეხ შეკრული რუსეთის დემოკრატია გარეშე მტერს, იმუქრება აქაც მისცეს კავკასიის დემოკრატია დასარბევათ იმპერიალისტურ წრეებს. ეს უნდა აშკარათ ითქვას და ამის მიხედვით იმოქმედოს. თვითეულ პარტიამ, რომლისთვისაც ძვირფასია რევოლიუციის მოპოვებანი აქ, კავკასიაში, და ჩვენ მიერ მოპოვებული თავისუფლებანი, მე ვფიქრობ, რამდენათ უფრო ახლოა პარტია მცხოვრებთა იმ წრეებთან, სადაც დღეს ხდება ანარქისტული გამოსვლები, მით უფრო გადაჭრით აქედან, სეიმის ტრიბუნიდან, ამ სახალხო ტრიბუნიდან, რომელსაც აქვს ავტორიტეტი ფართო და შეუგნებელ მასსაში, უნდა გაიკიცხოს მის მიერ ასეთი გამოსვლები. და დღევანდელ მომენტში ანარქისტულ გამოსვლებს არ შეიძლება უწოდოთ სხვა სახელი თუ არა რევოლიუციის საქმის ღალატი.

ეს ეხება არა მარტო მუსულმანებს, არამედ ყველა იმათ, ვინც ამ საპასუხის მგებლო მომენტში, როცა ჩვენი ქვეყანა და რევოლიუცია დაღუპვის პირზეა მიმდგარი, ახდენენ ანარქისტულ გამოსვლებს, ჩვენ უწოდებთ მათ მოღალატისა და გამცემის სახელს და მოვექცევით მათ ისე, როგორც რევოლიუცია ვალდებულია მოექცეს მოღალატეებსა და გამცემლებს. მე ვისურვებდი, რომ ახლა, ყოველივე იმის შემდეგ, რაც ჩვენს თვალს წინ მოხდა იქ, რევოლიუციონურ რუსეთში, მას შემდეგ, რაც ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლაში დემოკრატიის გაუბედაობამ გამოიღო თავის შედეგი და ანარქიამ, რომელიც გაფართოვდა და შთანთქა დემოკრატია, ამასთანავე დაღუპამდე მიიყვანა, შეიძლება დიდი ხნით, ქვეყანა და რევოლიუცია; კავკასიის დემოკრატია უფრო ტრაღიკულ პირობებში იმყოფება, ვინაიდან იგი თავის თავათ, თავის ობიექტიურ მდგომარეობის გამო წარმოადგენს უფრო მცირე ძალას და თუ ეს ანარქია თავს დაატყდა ამ პატარა ქვეყანას, აქ ლაპარაკი შეიძლება მაშინ რევოლიუციის არადროებით დამარცხებაზე, არამედ მის საბოლოოთ მოსპობაზე, ქვეყნისა და რევოლიუციის საბოლოო დაღუპვაზე. იმ გამოცდილების შემდეგ, რომელსაც რუსეთში ჰქონდა ადგილი, ჩვენ განსაკუთრებული სიფხიზლით უნდა ვადევნოთ თვალყური იმას, რომ ამ საბედისწერო დროს ჩვენ არ გაუღოთ რევოლიუციის სიმაგრის კარები იმით, ვინც ცდილობს მის დანგრევას. ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა და მათი წარმომადგენლების სოლიდარობა არის გარანტია რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნებისა და თვითეულ ეროვნებათათვის დამოუკიდებელ ცხოვრებისა აქ, კავკასიაში. მე ვისურვებდი, რომ იმ კამათის ნაცვლათ, რომელიც არაფერს არ არკვევს და რომლის დროს ერთი ეროვნების წარმომადგენლები ცდილობენ რა თავის თავის დაცვას, იცავენ იმათ, რომლებიც ამ ეროვნებასაც და ამიერ-კავკასიის ყველა ეროვნებებს უთხრიან საშინელ თხრილს, მიერეკებიან საშინელ უფსკრულისაკენ, რომ ამის მაგივრათ აქ გაისმის აღშფოთების საერთო ხმა დემოკრატიულ მთლიანობის დამრღვევთა წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, ვინც შეგნებულათ თუ შეუგნებლათ ღუპავს ამიერ-კავკასიის ყველა ეროვნებათა საქმეს და რომ სეიმმა ერთსულოვანი თავის დადგენილებით დაავალოს მთავრობას განსაკუთრებით ფხიზლათ უდარაჯოს კავკასიის შეკავშირებულ დემოკრატიის ინტერესებს ამ უკანასკნელ გადამჭრელ მომენტში და მთელი დემოკრატიის, განურჩევლად ეროვნების ავტორიტეტით განამტკიცოს ანარქიის და ქვეყნის და რევოლიუციის საქმის ღალატის წინააღმდეგ ბრძოლის სასტიკი ზომებით.

სადაც არ უნდა მოხდეს ეს ექსცესები, რომელ ერშიაც არ უნდა ნახონ ადგილი ამ მოღალატეებმა და გამცემებმა—სეიმმა უნდა დაავალოს მთავრობას სასტიკი ზომებით შეებრძოლოს ყველგან როგორც ანარქიას, ისე სხვა ფორმას ღალატისა და გამცემლობისას. (მქუხარე და ხანგრძლივი ტაში).

## დეპეშა

ზუგდიდი. მასწავლებელთა ყრილობამ სურვილი გამოსთქვა, რათა სკოლები დაიხუროს და მასწავლებლები სამშობლოს დაცვის საქმეზე გაიგზავნონ ადგილისა და ჯამაგირის შენახვით.

პრეზიდიუმი.

## ახალი ამბები

გაზეთი „ვოზროჟდენიე“ ამიერ-კავკასიის მთავრობის განკარგულებით დაიხურა.

◆ **გენერ. ანდრანიკი** თანამდებობიდან გადადგა.

◆ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა.** 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევია 20 მილიონი მანეთი. ქალაქის საფინანსო კომისიას იმედი ჰქონდა დღეში შემოსავალი 60,000 მანეთამდე იქნებოდა, მაგრამ, როგორც გამოირკვა, დღეში 10,000 მანეთზე მეტი არ შედის ქალაქის კასაში. ეს გარემოება ფრიად აფერხებს ჯამაგირების დროზე დარიგებას.

◆ **თფილისის ქალაქის გამგეობა** დეპეშით სთხოვს, ფოთის, ახალ-სენაკის, ერევანის, ბათუმის, სარაყამიშის და სამტრედიის ქალაქის თვითმართველობებს გადმოხვეწილები არ გამოუშვან თფილისში, რადგანაც თვით აქაური მკვიდრნი ბინის და სურსათის კრიზისს განიცდიან.

◆ **მატარებლის მიმოსვლა** თფილისიდან ბაქომდე განახლდა: გაგზავნილი მატარებლები უვნებლათ მივიდენ ბაქოში.

◆ **სად. აჯიკაბულში** თფილისიდან მიმავალ მატარებლის მე-2 კლასის ვაგონში აღმოაჩინეს ათ შაურიანი ყალბი ბონები 8,000 მან. ბონები იქვე დასწვეს.

◆ **არდაგანის ოლქში** მცხოვრებ ქრისტიანებს თათრები ძარცვავენ. მიყავთ ოთხფეხი საქონელი, აწიოკებენ ხალხს. საჭიროა მუსულმანთა ნაციონალურ საბჭოს დახმარებით მოხდეს ევაკუაცია, იუწყებიან.

◆ **ბათუმის კომენდატათ** დაინიშნა გენ. მდივანი.

◆ **ავაზაკების ძებნა.** გუშინ ყაზბეგის, გუნიბის ქუჩას და მის მიდამოებს წითელ რაზმელებმა ალყა შემოარტყეს, ეძებდენ ბოროტ-მოქმედთ.

◆ **სარიყამიშში,** როგორც ქალაქის გამგეობის წევრი შარაფიანი იტყობინება, გადმოხვეწილთა რიცხვი ყოველ დღე მატულობს. ჯერჯერობით თავი მოუყრია ათი ათასამდე სულს.

◆ **თავდაცვის შტაბის განკარგულებით** ციხეში ჩასვეს ჯარისკაცი მიხეილ მალხაზოვი, რომელსაც მოპარული თოფი აღმოაჩნდა. ქუჩაში სროლისათვის სამი თვით ციხე მიუსაჯეს პორუჩიკ ქავთარაძეს, ამავე დანაშაულობისათვის პეტრიაშვილს მიუსაჯეს 2 თვე ციხე.

◆ **სანიტარულ მატარებლით** გუშინ თფილისში ჩამოიყვანეს აზრუმში დაჭრილი ჯარისკაცები. მომეტებული ნაწილი მათ შორის ოფიცრებია.

◆ **მილიციონერებს** 5 მარტს მეტეხის ციხეში მიჰყავდათ ხუთი ბოროტგამზრახველნი, რომელთაც გაქცევა დააპირეს, მაგრამ იქვე იქნენ მოკლული, ერთმა თავს უშველა გაქცევით.

◆ **ყარსის ოლქის კომისარი** დზამოევი იტყობინება: მერდენკის და არდაგანის გარშემო სასტიკი ბრძოლა არის გაჩაღებული. როგორც ეტყობა, თათრები ყარსის აღებას აპირებენ. ყარსის სამხედრო დაწესებულებათა და ნაციონალურ საბჭოთა განკარგულებით გამოცხადდა სამხედრო წესები. ქალაქში მთელი ძალა-უფლება სამხედრო პირთა ხელშია.

◆ **თფილისიდან გატანილ პაპიროსზე,** ტყავზე, გოგირდზე და შაბიამანზე ვადასახადი დააწესა თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა. განკარგულება ძალაში შედის 6 მარტიდან.

◆ **ახალი კოოპერატივი** დაარსეს თფილისის სასამართლოს მოსამსახურეებმა.

◆ **გოგირდის და შაბიამანის აღმოჩენა.** „კავკაზის და მერკურის“ საწყობში უფროსმა აგენტმა ჩიკვილაძემ აღმოაჩინა გოგირდი და შაბიამანი, რომელიც თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტის განკარგულებით გადაეცემა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას.

◆ **დონის როსტოვის ამბები.** ბოლშევიკურმა სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტმა ათი მილიონი მანეთი გააწერა როსტოვის და ნახიჩევანის მრეწველებზე, ვინც არ დაემორჩილება ამ განკარგულებას და დროზე არ გადაიხდის ფულს სასტიკათ დაისჯებაო.

◆ **მძარცველთა ბრბოს წევრთა დაპატიმრება** გრძელდება. 80 კაცამდე უკვე დაიჭირეს. სხვათა შორის 5 მარტს შეიპყრეს ერთი ჯგუფი ჯარისკაცებისა, მათ ბინაზე აღმოჩნდა ყუმბარები.

◆ **ინტერნაციონალური რაზმი.** თფილისში დაარსდა სოციალისტური-ინტერნაციონალური რაზმი. ბევრი მოსწავლე ახალგაზრდები ჩაეწერა რაზმში.

### კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 6 საათზე, სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია გლეხთა საოლქო ცენტრის სხდომა. დღის წესრიგი: 1. გლეხთა ყრილობის მოწვევა (მოხსენება პ. გელეიშვილისა) 2. რვა საათის სამუშაო დღე სოფლად. 3. მიმდინარე საქმეები. დაბეჯითებით ვთხოვთ წევრებს დაესწრონ.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, ბიუროს ბინაზე შესდგება რ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლლექტივის წევრთა კრება.

— დღეს, 7 მარტს საღამოს 7 საათ. ქალ. გამგეობის სასურსათო განყოფილების ბინაზე, რომელიც იმყოფება ბებუთოვის და რტიშჩევის ქუჩის ქუთხეში დანიშნულია სასურსათო განყოფილების სოციალ-დემოკრატთა მოსამსახურეთა საერთო კრება. სთხოვენ უბნის სასურსათო დუქნების, ბარათების ბიუროს, ქალაქის პურის დუქნების ყველა სოც. დემ. მოსამსახურეებს დაესწრონ კრებას. დღის წესრიგია: ადგილობრივი მცირე კოლექტივის დაარსება.

— ხუთშაბათს, 8 მარტს, საღამოს 6 ნახ. საათზე შესდგება 3-მე სამილიციონერო წევრების კრება უბნის რ. ს. დ. მ. პ. (ჟუკოვის ქუჩა 9) დღის წესრიგი: 1) არჩევნები მცირე კოლექტივისა. 2) მიმდინარე მომენტი.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, ბიუროს ბინაზე დანიშნულია მე 6 რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი კრება. ამხანაგებს სთხოვენ უსათუოდ დაესწრან კრებას.

— დღეს, 8 მარტს, საღამოს 5 საათზე, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია პირველ რაიონის საერთო პარტიული კრება.

— 8 მარტს, საღამოს 5 საათზე ავლაბრის კლუბში გაიმართება მიტინგი. თემა, მომენტი და სხვ. კითხვები. ილაპარაკებენ ბეჟანიანი, ყარაჯიანი, არსენიძე, ჩიკალინი, მუშეგიანი და სხ.

## პროვინციის ქრონიკა

**ს. დიდი ჯიხაიში.** 4 მარტს, აქ მოხდა მრავალ რიცხოვანი მიტინგი, მოხსენება გააკეთა პ. წულაიამ, რევოლიუციის დაცვის კომიტეტის სახელით ილაპარაკა ამხ. რ. მიქაძემ. ფართეთ გააცნეს მიტინგს რუსეთის და განსაკუთრებით, ამიერ კავკასიის მდგომარეობა. მიტინგმა ერთხმად სასტიკათ დაგმო სახალხო კომისართა საშინაო და საგარეო პოლიტიკა და წყევა კრულვას უთვლის მათ, სამშობლოს და რევოლიუციის გაყიდვისთვის. მხარს უჭერს რუსეთიდან ამ ჟამად ფაქტიურად გამოყოფილ ამიერ კავკასიის რესპუბლიკად გამოცხადებას. მიესალმება ამიერ კავკასიის სეიმს, ფიცს სდებს მის წინაშე და თხოვს მას დაუყოვნებლივ შექმნას ამიერ-კავკასიის ძლიერი მთავრობა, რომელიც შესძლებს სამშობლოს და რევოლიუციის დაცვას შინაურ და გარეშე მტრისაგან.

**გორი** კვირას, მარტის 11, დილის 11 საათზე ქ. გორში უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელში მოხდება ჩვეულებრივი საზოგადო კრება გორის რაიონის სახალხო მასწავლებელთა კავშირის წევრებსა.

**ყვირილა.** ყვირილის მ. ჯ. და გლ. დეპ. საბჭოს აღმ. კომიტეტმა 26 თებერვლიდან მოხსნა ქალაქში სამხედრო წესები.

ეწყობა ყვირილაში შორაპნის მაზრის პირველი სახალხო რევოლიუციონური ლაშქარი. ლაშქარში ჩაწერა შეიძლება სურვილით და თავდებით საბჭოს მდივან ს. გოცაძესთან.

25 თებერვალს ადგილობრივ ციხეში ტუსაღმა გოგოლაძემ გაქცევა დააპირა, მაგრამ იგი მილიციონერმა დასჭრა.

**ტყიბული.** მუშები განაგრძობენ გაფიცვას, მათ მიემატა ახალი მაღაროს მუშები. ისინიც ფულის მიუღებლობის გამო გაიფიცენ. მოხდა კრება ძველი ნახშირის მუშებისა, სადაც გამოიტანეს შემდეგი დადგენილება: მუშაობა არ დაიწყონ. გაიგზავნოს ორი კაცი თფილისში საოლქო ცენტრთან მოსალაპარაკებლად. თფილისში გაგზავნილ დელეგატებს დაავალეს შემდეგი:

1) ქირის მომატება; 2) სანოვაგის მიწოდება და მეტადრე პურის; 3) გაცდენილი დღეების ანაზღაურება 4) ფული უნდა რიგდებოდეს ყოველი თვის ოცში და სხვ.

— ახალ მაღაროში მოხდა ახალი არჩევნები მუშათა დეპ. საბჭოს წევრებისა, როგორც გამოირკვა არჩეული არიან ძველი „ურიადნიკ-სტრაჟნიკები“.

— ასევე მოხდა ტყიბულის კოოპერატივში, სადაც აირჩიეს ურიადნიკ-პოდრიაჩიკ-მიკიტნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ზუგდიდი.** 17 თებერვალს დამთავრდა ზუგდიდის სამაზრო ყრილობა, სადაც სხვათა შორის გაარჩიეს მიწის საკითხიც. ყრილობამ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: მემამულეებს დარჩეთ მხოლოდ 30 ქცევა, დანარჩენი ჩამოერთვას. ჩამორთმეული ადგილების სარგებლობის ფორმის შემუშავება და დაკანონება მიენდოს ჩვენ მიერ ნდობით აღჭურვილ ამიერ-კავკასიის სეიმს.

**ფოთი.** მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭომ 24 თებერვალის სხდომაზე გადასწყვიტა, შეადგინოს მობილიზაციის მოსახდენათ სპეციალისტი კოლეგია პარტიათა, საბჭოს და ქალაქის წარმომადგენლებისაგან.—კოლეგია უკვე შესდგა, მას თავმჯდომარეობს ამხ. ალ. კორძაია.

— ფოთის ქალაქის თავმა, ამხ. დ. ონიაშვილმა, თანახმათ ამიერ-კავკასიის სეიმის გადაწყვეტილებისა, რომლითაც სეიმის წევრს არ შეუძლია სხვა თანამდებობაც აასრულოს, შემოიტანა თხოვნა, რათა ის გაენთავისუფლებიათ ქალაქის თავის თანამდებობიდან. კრებამ იქონია ამის შესახებ მსჯელობა და დაადგინა: გაანთავისუფლოს ფოთის ქალაქის თავის თანამდებობიდან ამხ. დ. ონიაშვილი, ხოლო მის მაგიერ მოწვეულ იქნას ამხ. იოს. სალაყაია.

— მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭომ დაადგინა ამავე სხდომაზე, ნიხრის ყველა დამრღვევი სასტიკათ დაისაჯოს და ყველა ასეთი პირები გადაეცეს ფოთის რევოლიუციონურ ტრიბუნალს.

— ფოთის რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა საზოგადო წესიერების დარღვევისათვის მიუსაჯა ჯარის-კაცს ვლად. წურქავას ორი თვით ციხე.

— მეზღვაურებმა მოთხოვნილება წაუყენეს ქალაქის თვითმართველობას. მოითხოვენ ჯამაგირისთვის 300.000 მან., რომლიდან 100.000 მან. უნდა იყოს ძველი (ნიკოლოზის დროის) ასიგნაციებით. თუ ფულს არ მივიღებთ, არც ერთს გირვანქას საქონელს არ შევუშვებთ ქალაქში და არც გამოუშვებთ.

## ლევან დადეშქელიანის მოკვლის გამო

**ფოთი.** მოჰკლეს ვერაგულად რევოლიუციის თავდადებული დარაჯი. ლევანმა სული დალია იმ სახელოვან ბრძოლაში, რომელშიაც ის ჩაბმული იყო რევოლიუციის პირველი დღიდანვე. გულით ვგლოვობთ შეუდარებელი ამხანაგის დაკარგვას. ზიზღი მკვლელებს!

ფოთის ორგ. მინდ. კილურაძე.

**ნიგოითი.** (გურია). კვირას, 4 მარტს ნიგოითის საზოგადოების საერთო კრება მოხდა, რომელიც მოწვეულ იყო იმ მიზნით, რომ ედღესასწაულა რევოლიუციის წლის თავი, მაგრამ რადგანაც კრებას ხალხი ნაკლებათ დაესწრო მიტინგი შაბათისთვის გადაიდო.

კრებამ მოისმინა მეტად გულ-შემზარავი ამბავი ამხ. ლევან დადეშქელიანის ვერაგულად მოკვლის შესახებ. ამხ. იმნაიშვილმა მოკლეთ გააცნო კრებას, თუ ვინ იყო ლევან დადეშქელიანი და ვისმა ბინძურმა ხელებმა მოუსპეს მას სიცოცხლე.

კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ლევანის ხსოვნას და ზიზღი და გულის წყრომა გამოუცხადა იმ პირებს, რომელთაც მოჰკლეს ის კაცი, რომელიც თავის სიცოცხლეს ხალხის სამსახურს ანაცვალებდა. ლევანი მოჰკლეს იმ დროს, როდესაც ის მეტად საჭირო იყო რევოლიუციისა და მშრომელ ხალხისათვის.

ზიზღი ნაძირალებს, ზიზღი ლევანის მკვლელთ.

თეოფილე ხუხუნაიშვილი.

ძვირფასო ლევან! გიმსხვერპლა ნაძირალების ტყვიამ, გიმსხვერპლა შენივე მოძმე გლეხის ტყვიამ, შენი სიკვდილით ხარობენ დღეს კონტრ-რევოლიუციონერები, ჯაშუშ-პროვოკატორები, რომელთაც ჩაითრიეს დღეს ლეჩხუმის მშრომელი გლეხები და უსისიანებენ სოციალ-დემოკრატებზე. რევოლიუციის წლის თავი იდღესასწაულეს ლეჩხუმის ნაძირალებმა შენი სიკვდილით, რევოლიუციის წლის თავზე ტყვიით გაუხვრიტეს გული ლეჩხუმის ნაძირალებმა თავისუფლების გმირს. განისვენე, ძვირფასო ლევან, თქვენს ღვაწლს არ დაივიწყებს მუშათა კლასი, თქვენ კი, ხალხის და თავისუფლების მოღალატენო გიგზავნი წყევლას და კრულვას. იცოდეთ, რომ თქვენ დაგატყდებათ რევოლიუციონური ჯარის რისხვა. მაშინ კი, ვერ გიხსნით ვერავითარი ძალა.

ჯარისკაცი სიმონ მეხუზლა.

ზიზღი მკვლელებს.

ამ საბედისწერო ჟამს, როდესაც ჩვენ ნორჩ თავისუფლებას მრავლად დასჩხავიან ყვავ-ყორნები როგორც შიგნიდან, ისე გარედან, მით უფრო სამწუხაროა და სავალალო ისეთი ენერგიის მქონე ამხანაგის დაკარგვა, როგორიც ლევანი იყო. მას ბევრი გაუკეთებია და ბევრსაც გააკეთებდა, მაგრამ მტარვალმა არ დააცალა. ზიზღი და კრულვა მკვლელს, საუკუნო ხსენება და პატივისცემა ლევანის სახელისა.

არსენ თოდრია.

მოკლეს ადამიანი, რომელმაც ყმაწვილობიდანვე მშრომელ ხალხის სამსახურს შეალია სიცოცხლე. დღეს კი ის გაიგმირა განთავისუფლებულ საყვარელ მხარეში იმ მოძმეთა ხელით, რომლის განთავისუფლებისთვის ის ებრძოდა ჯალათთა ხროვას! მკვლელმა შეასრულა კაენის როლი, ზიზღი და წყევა-კრულვა ძმის მკვლელებს!

დაუვიწყარი იქნება ძვირფას ლევან დადეშქელიანის ხსოვნა რ. ს. დ. მ. პარტიის წევრთა და ყველა მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთა გულში!

დიდება იმას, ვაშა მისს სახელს, ვინც თვისი გული მშრომელ ხალხის სამსხვერპლოზე დასწვა.

დათიკო ი. ლორთქიფანიძე.

## მუშათა წერილები

### ბოლშევიკები სოფლად.

გამოცხადდა ჯარის დემობილიზაცია თუ არა და იწყო ფრონტიდან ჯარმა სოფლებისაკენ გამგზავრება, იმავ დღიდანვე შეიტყო სოფელს სულ სხვა გვარი არსებობა.

ფრონტიდან მოსული ცარისკაცები, რომლებსაც აუარებელი საჭირო ნივთები და მასთან თვისი თოფები მოჰქონდათ, თამამათ გაიძახოდენ: „ბოლშევიკები დალოცოს ღმერთმა, თვარა კერენსკის მთავრობის ხელში ამდენ „ვეშჩებს“ ჩვენ ვინ მოგვცემდა და გამოგვატანდათ.

ეს ცხადია, ჩვენ რომ ერთი მთავრობა გვყოლოდა, რომელიც იქნებოდა ხალხის უმრავლესობის ინტერესების დამცველი, იმ შემთხვევაში არც ამდენი ქონება დაიკარგებოდა ფრონტებზე. დღეს ფრონტი ცარიელია და სოფლად კი ანარქია იკიდებს ფეხს. დღეს თუ ხვალ იმავე ცეცხლში გავეხვევით, რომელშიაც გაეხვიენ ჩვენი ძმა-რუსები. ზომების მიღება ყოვლად შეუძლებელია იმათ წინააღმდეგ, რადგანაც ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებს, რომლებსაც თოფების იმედი აქვთ, შეუძლიათ უმანკო სისხლი დაღვარონ. საშველება ერთად ერთი დაგვრჩენია, რის აღმასრულებელი უნდა შეიქმნეს ყველა სოციალისტური პარტიები, საჭიროა როგორც მენშევიკებმა ისე ბოლშევიკებმაც მიიღონ ზომები ბნელი ძალების წინააღმდეგ, ამისთვის საჭიროა სადაც არსებობს ორგანიზაცია (ბოლშევიკურია თუ მენშევიკური) დაარსონ რამოდენიმე პირისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც უნდა ევალებოდეს მოსულ ჯარისკაცთა აღწერა, რათა მოტანილი თოფები და ტყვიები ან უნდა ჩამოერთვას და ინახებოდეს დანიშნულ ალაგზე, ან უნდა იყოს აწერილი თუ ვის რა თოფი აქვს და რამდენი ტყვიაა, რომ მას არ შეეძლოს უბრალოთ ხარჯოს.

ზემოთ აღნიშნული წესდება არსებობს ზოგიერთ სოფლებში. მასთანვე საჭიროა შეგნებულ ჯარისკაცების პარტიაში ჩაწერა და პარტიული დისციპლინის გაცნობა იმიტომ, რომ ფრონტზე ნამყოფი ჯარისკაცი უფრო დაუჯერებს მათ, ვიდრე სოფლის მუშას.

ზოგიერთი შეუგნებელი პირები მუშებთან დიდი გულგრილათ არიან და ამისათვის საჭიროა შეგნებულათ საქმის შეხედვა. ყველა სადგურებზე უნდა იყოს ფრონტზე ნამყოფი ჯარისკაცი მცველათ და წესიერების დასამყარებლათ, მხოლოდ ის ჯარისკაცი უნდა იყოს ხალხიდან ნდობით აღჭურვილი და ის შეუგნებელი ამხანაგები, რომლებიც ფრონტიდან მოდიან და მუშებს ემუქრებიან, რომ თქვენ ფრონტზე არ ხართ ნამყოფი მის ამხანაგ ჯარისკაცს ის იმას ვერ გაუბედავს და წესიერებისკენაც შეუძლია მოუწოდოს პირველმა ზოგიერთ ჯარისკაცებს ჰგონიათ, რომ მარტო ისინი არიან ფრონტზე ნამყოფი, მაგრამ ამაში ძლიერ ცდებიან.

ამხანაგებო, თვითონ ამ სტრიქონების დამწერი ბევრჯერ ყოფილა მოწამე იმ მწარე დღეების, რომელიც ოსმალეთის მთებში გვხდებოდა. ამხანაგებო! გავიხსენოთ ის მწარე დღეები, როცა ფრონტზე მოწინავე რაზმში მყოფსაც არ გვქონდა მოსვენება მეცადინეობიდან და ყოველ წუთში სიკვდილის მომლოდინეც არ ვიყავით შესვენებული ჩვენი უფროსებისაგან და სულ უბრალოთ გვაწვალებდენ სიკვდილის დრომდე. რა ძვირფასი იყო, ამხანაგებო ის სამი მარტი, როდესაც ღამის 3 საათზე დარაჯობიდან გამოცვლილი მოვედი „ზემლიანკაში“ და რომ გავიგე ჩვენი მტარვალების დამხობა სიხარულით კინაღამ შევიშალე და ვფიქრობდი, ამის შემდეგ მაინც ბოლო მოეღება უბრალო ტანჯვა წვალებას მეთქი.

აი, მას შემდეგ რამდენი რამ გავიგეთ და მაშინ თუ უბრალო რამეებით ვკმაყოფილდებოდით, დღეს ყველაფერი ერთად მოგვინდომეთ.

ამხანაგნო ჯარისკაცებო! მე მოგმართავთ, რომლებიც ფრონტზე ხართ ნამყოფი, გამოვლილი გაქვთ ძველი რეჟიმის დრო, დაუკვირდით, გაიხსენეთ ის მწარე დღეები და დაკვირვებულად და შეგნებულად მოკიდეთ საქმეს ხელი. ბევრს ჰგონიათ, რომ ვითომც აწი რუსეთის ხალხი ჩვენზე გამოყოფილია და ჩვენ ისინი სიზღით გვიყურებენ, მაგრამ ეს შემცდარი აზრია, მე დღესაც შემიძლია დავამტკიცო, რომ ის ამხანაგები, რომლებიც ჩვენ გვედგა დღემდი გვერდში აწიც ჩვენთან არიან. დასამტკიცებლად მე მოვიყვან აქ რამდენიმე მაგალითს. ფრონტზე ყოფნის დროს თუმცა აკრძალული იყო პარტიული მუშაობა, მაგრამ მაინც მოვაწყვეთ პარტია ჩვენს კამანდაში, რომელშიაც მარტო მე ვიყავი ქართველი, ჩვენი პარტიის მიზანი იყო გათვითცნობიერება. მერმე მისი ნება იყო ვინც რომელ ფრაქციაში გადავიდოდა. ბოლშევიკს მიემხრობოდა თუ მენშევიკს. მხოლოდ მას უნდა ჰქონებოდა შესაფერი შეგნება. პარტიაში იყო 37 კაცი და უნდა ვსთქვა, რომ როდესაც დასასვენებლათ ქალაქ ალექსანდროპოლში ჩამოვიდა ჩვენი პოლკი, სულ ყველამ სურვილი გამოსთქვა ჩაწერილიყვნენ მენშევიკების პარტიაში. ამათში მარტო მე ვიყავ ქართველი და ჩვენი პოლკის (7 კავ. მს.) ქართველებიც დამიმოწმებენ, თუ როგორ იყო შეკავშირებული ეს ჩვენი ჯგუფი. როდესაც დავიშალენით ყველანი მადლიერი წავიდნენ და უნდა ვთქვა, რომ ჭეშმარიტად იქნებიან დამცველი და მებრძოლი სოციალიზმისთვის.

საწყალი მუშა.



## გიორგი (ძუკუ) ქავთარაძე

როგორც ეხლა გამოირკვა,—გასული წლის 18 დეკემბერს უგზო-უკვლოდ დაკარგული მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ძუკუ ქავთარაძე, თურმე ზღვაში დაღუპულა.

ის იყო სოხუმის და ბათუმის ოლქებში დამფუძნებელ კრების საარჩევნო ინსტრუქტორად. მან უკვე დაასრულა აქ არჩევნები და შემდეგ, 16 დეკემბერს, ის ბიუროს მიერ გაგზავნილ იქნა გაგრაში არჩევნების მოსაწყობად.

18 დეკემბერს სოხუმიდან მოტორიანი ნავით გასულა და სოხუმის ახლო დაღუპულა ეს ნავი და ჩვენი ძუკუც შთაუნთქავს გაუმაძღარ ზღვას.

განსვენებული იყო მოსკოვის უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი, მიმართულებით ს.-დემოკრატი მენშევიკი. რევოლიუციის გამოცხადების დღიდან ის დაუღალავად შრომობდა სამეგრელოს სხვადასხვა სოფლებში.

ის იყო კომისრად დ. ნაოლაღევში და ხალხში ვერ ნახავთ მის ერთ მომდურავს, მისი უსამართლოდ ან მიდგომით საქმის გადაწყვეტით.

იყო მოუსყიდველი, მართალი და პირდაპირ მოქმედი. შემიძლია თამამად ვსთქვა, რომ ძუკუს, დღიდან რევოლიუციის გამოცხადებისა, ერთხელაც არ დაუსვენია. ნაოლაღევის კომისრობას მან თავი დაანება, რადგან არ მოსწონდა ეს ხელობა და გადმოვიდა ქუთაისში, აქ კი ის დანიშნეს საარჩევნო ინსტრუქტორად, რასაც შესწირა მისი სიცოცხლე. კერძოთ განსვენებული ძუკუ იყო დიდებული ხასიათის, მშვიდი, წყნარი, ყოვლად გულ-კეთილი და პატიოსანი ადამიანი. მთელი მარტვილის სოფელი გლოვობს მის დაკარგვას.

რ. ჯალაღანიძე.

## ბოლშევიკურ რუსეთში

(პეტროგრადიდან თფილისამდე).

**ვისთვისაა ხელ-საყრელი საბჭოთა მთავრობა?**

პეტროგრადიდან მოსკოვამდი ერთი წამითაც არ მიგვრძნია ვაგონში, რომ ვიმყოფებოდი „სოციალისტური“ რევოლიუციის ტერიტორიაზე. მოსკოვში კი, გამოველ თუ არა ვაგონიდან, ჩემთვის აშკარა გახდა, რომ პეტროგრადზე ნაკლებ აქ ბოლშევიკებს არ გაუჩაღებიათ „სოციალისტური“ რევოლიუცია.

ბევრ ალაგას სახლები დანგრეულია ყუმბრებით. ყუმბარებს აყრიდენ მოსკოვს ვორობიოვის მთიდან. იქ ერთმანეთს ებრძოდენ თეთრი და წითელი გვარდია. იქიდან „შეცდომითაც“ ისროდენ ყუმბარებს. ბევრი საყდრებისთვის გუმბათი მოუგლეჯია ყუმბარას. მილიონიებში ფანჯრები ჩამტვრეულია. ფანჯრები ფიცრებით არის დაჭედილი. ერთის შეხედვით ის შთაბეჭდილება გრჩება ადამიანს, თითქოს ქალაქიდან ქალაქში შემოუვლია „პოგრომის“ ტალღებს.

ქალაქი მოფენილია ურიცხვი სხვადასხვა გვარი „კომისარიატებით“. გარეგნულად ისინი „რუსთა ხალხის კავშირს“ მოგვაგონებენ. ფანჯრებში რომ შეიხედავთ, ხშირათ შეამჩნევთ ქუჩაში ორგანიზაციის სახით ჩამორთმეულ გაპარტახებულ სახლებს. ამ გვარ, სახლების შესასვლელ კარებთან შეიარაღებული, საეჭვო ხალხია შეჯგუფებული. ამ გვარივე ხალხითაა გაჭედილი ქუჩაში მქროლავი საბარგო და სამგზავრო ავტომობილები.

ჯარისკაცები აქ ქუჩებში ნაკლებია, ვიდრე პეტროგრადში, წითელი გვარდიელები კი,—მეტი. თუ პეტროგრადი დეზერტირ-ჯარისკაცებს აქვთ ხელში ჩაგდებული, მოსკოვი ბანდიტების ხელშია.

ჩემი ამხანაგების თქმით მოსკოვში ცხოვრება უკანასკნელად აუტანელი გახდა. „იდეური ბოლშევიკები“ გრძნობენ ამ აუტანელ მდგომარეობას, მაგრამ ვერაფერს აგვარებენ ახლა.

მეფის თვითმპყრობელობის დროსაც არ შეიძლებოდა მთავრობის ისე ადვილათ მოსყიდვა, როგორც ეს ახლა ხდება მოსკოვში. ფულით რაც გინდათ იმას გააკეთებთ აქ. ყველა კომისარები, დიდიდან პატარამდე ქრთამებს იღებენ და იტაცებენ ყველაფერს, რაც კი მათ ხელში მოჰყვება, ვინაიდან კარგათ გრძნობენ, რომ მათი ბატონობის დღენი დათვლილია.

რეკვიზიცია, კონფისკაცია, ჩხრეკა, დაპატიმრება,—ყველა ესენი კომისრის ხელში ქრთამის აღების საშუალებებია.

დაპატიმრების შიშით მოსკოველი ბოლშევიკები ხშირად ისე მოქმედებენ როგორც რომელიმე ავაზაკი, რომელმაც მილიონერი მოიტაცა, ტყვეთ ჰყავს და მოითხოვს გამოსასყიდ დიდ თანხას. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ავაზაკი სრულიადაც არ ცდილობს ასეთ შემთხვევაში დაამტკიცოს, რომ ის სოციალიზმის სახელით ბურჟუაზიას ებრძვის.

კონტრ-რევოლიუცია და სპეკულიაცია, მუშათა კონტროლი, ბანკების ნაციონალიზაცია,—მოსკოვში ყველა ესენი ქრთამის სხვადასხვა ფორმით აღების საშუალებანია.

გოგოლის გოროდნიჩი რომ მივიდეს ამ ჟამად ბოლშევიკურ მოსკოვში, გაოცდება. ის აქ გაიგებდა, რომ მთელ თავის სიცოცხლეში მას სოციალიზმის დამყარებაში გაუტარებია დრო; გაიგებდა, რომ თურმე ის ბურჟუაზიას ებრძოდა, როცა ჯიბეს ივსებდა.

მხიარულებაში ატარებს მოსკოვი დროს! ყველგან ქეიფია. მხიარულობს სოციალისტური რუსეთის ახალი მბრძანებელი—კომისარი — დეზერტირი და ბანდიტი—წითელ გვარდიელი!

„იდეურმა ბოლშევიკებმა“ კარგათ იციან, თუ რა ხდება მათი დროშის ქვეშ. ამიტომაც მეტად მძიმეა მათი ისტორიული პასუხისმგებლობა.

მთელი რუსეთი მოვიარე—პეტროგრადიდან ხარკოვამდე, ხარკოვიდან ცარიცინამდე და ტიხორეცკაიათი ტუაპსემდე. ყველგან ვხედავდი ბოლშევიკურ კომისარების, წითელ გვარდიელების და ჯარისკაც-დეზერტირების ქეიფს. ეს ხალხი ხიშტების საშუალებით განაგებენ ქვეყანას და ამავე ხიშტებით ეწევიან ძარცვა-გლეჯას.

ბოლშევიკურ რუსეთში მოგზაურს უპირველესად საბჭოთა მთავრობა წარმოუდგება ჯარისკაცთა ურიცხვი „ბანდების“ სახით, რომლებიც ვაგონებში ჩხრეკას ახდენენ. მოსკოვიდან ტუაფსემდე დაახლოვებით 15-ჯერ გამჩხრიკეს. ამაოდ ვცდილობდი იმის გაგებას, თუ რა საბუთით მჩხრეკდენ. დაბოლოს დავრწმუნდი, რომ ჯარისკაცების მიერ მგზავრების გაჩხრეკა უბრალო ძარცვა-გლეჯა ყოფილა.

სულერთია,—ეძებენ ვაგონში კალედინის მომხრე აფიცრებს, იარაღს, თუ კონტრ-რევოლიუციონურ (ე. ი. ესერების და მენშევიკების) ლიტერატურას, საქმის არსებითი მხარე ამით არ იცვლება. ჩხრეკის მიზანი ყოველთვის ერთია: გაძარცვა ან ქრთამის აღება. ჩემი შეხედულებით, ბოლშევიკი-სოლდათები ძარცვა-გლეჯას ქრთამის აღებას ამჯობინებენ.

ჩვენს მატარებელში ერთი კავკასიელი მოდიოდა, რომელსაც დიდძალი ძაფები მოჰქონდა. ყოველთვის ჩხრეკის დროს ჯარისკაცები ამ ძაფებს წააწყდებოდენ და შეიქნებოდა ერთი აურ-ზაური; ჯარისკაცები ამბობდენ, რომ მატარებლით მოგზაურობენ სპეკულიანტები და ბურჟუები, რომელთა დახრჩობაა საჭიროვო. მე ვნატრობდი, რომ შეიძლება რამდენიმე ბოლშევიკი კომისარი ჩამოართმევს ამ ძაფს პატრონს და გვიხსნის უსიამოვნებისაგანო. საშჯერ ჩამოართვეს ძაფი ჯარისკაცებმა პატრონს, მაგრამ კომისართან საიდუმლო მოლაპარაკების შემდეგ ძაფები პატრონს დაუბრუნეს. ასევე დაუბრუნეს პატრონს ჩამორთმეული [illegible] და ერთი იაშიკი ბატინკები.

მხოლოდ ერთ მგზავრს დაუბრუნდა ნივთი გამოუსყიდველათ. ამ მგზავრს ერთ-ერთ სადგურზე მოვერცხლილი ხანჯალი ჩამოართვა უბრალო სალდათმა. ორ ბოლშევიკ კომისარს შორის დავა ჩამოვარდა—არა მე მეკუთვნის ხანჯალი და არა მეო. ამის გამო იმ სალდათმა, რომელმაც ხანჯალი ჩამოართვა, სთქვა:

— არც ერთს და არც მეორეს ხანჯალს არ მივცემ. ვისაც ჩამოვართვი, იმასვე დავუბრუნებო.

რკინის გზის მიმოსვლა სრულიად არეულია ჯარისკაცთა ბრბოების წყალობით.

ისევე უმწეოდ ვგრძნობდი თავს კატორღაში ჩხრეკის დროს, როგორც ახლა ვაგონში. კატორღაში მთვრალმა „ნადზირატელმა“ მაინც იცოდა, რომ მას არ აქვს უფლება მოჰკლას ტუსაღი. სალდათი-ბოლშევიკი კი, თქვენ დაგჩხრეკს, დაგხვრეტს, გაიწმენდს თავის გასისხლიანებულ ხელს ბოლშევიკურ გაზეთ „პრავდით“ და კიდევაც დაიტრაბახებს, რომ მან გაისტუმრა ბურჟუა „დუხონინის შტაბში“.

მაგრამ ბოლშევიკურ რუსეთში მაინც შეიძლება ცხოვრება. და მხიარულადაც შეიძლება იცხოვროს კაცმა. მხოლოდ უნდა იცოდე, რომ ფულით ყველაფრის გაკეთება შეიძლება, უნდა იცოდე სად რა დახარჯო და სხვ.

ფულს თუ გადიხდით, თქვენ შეგიძლიათ ბოლშევიკებისაგან მიიღოთ ვაგონი, მატარებელი და რა ნაირი საქონელიც გსურთ. ფულით თქვენ რომელი ბოლშევიკურია შტაბიდანაც გსურთ, შეგიძლიათ მიიღოთ მოწმობა, რომ თქვენ ბოლშევიკი ხართ და საყურადღებო მინდობილობა გაქვთ. ფულით თქვენ ჩაგაჯდენენ ბოლშევიკურ შტაბის ვაგონში, წითელი ჯვრის ვაგონში. თქვენ საქონელს ვაგონში ყუმბარებით დაფარავენ და სხ.

ბოლშევიკურ რუსეთში ყოველგვარ შემოსავალის წყაროს სასტიკად სდევნიან. ხელუხლებლათ არის მხოლოდ მექრთამეობა. ამიტომ სპეკულიანტებმა და მაროდერებმა შეითვისეს ლენინის სოციალიზმი და მიხვდენ, რომ ეს სოციალიზმი მათთვის საშიში საქმე არ არის. სმოლნი ინსტიტუტიდან გამოცემული ბრძანება ამ ხალხმა ასე გაიგო:

— გაიღეთ ქრთამი, მაგრამ გამდიდრდითო.

— გაძარცვეთ ქვეყანა, მაგრამ გაიყავით კომისარებთან ერთადო.

სპეკულიანტებმა და ბოლშევიკებმა ერთმანეთი იცნეს და ძმური ხელი გაუწოდეს ერთმანეთს.

არასოდეს ომის დროს სპეკულიაცია არ გაფურჩქვნილა რუსეთში ისე, როგორც ამ საბჭოთა მთავრობის დროს. არას დროს სპეკულიანტებს არ გაუსქელებიათ ჯიბეები, როგორც ამ ჟამათ.

თუ გსურს, რომ რუსეთში არხეინათ იცხოვრო, საჭიროა იყო ან ლატიში ჯარისკაცი, ან მეზღვაური, ან ბოლშევიკი კომისარი, ან მძარცველი. უნდა შეეწყო მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა მთავრობას.

წინათ ჩვენს მატარებელს ჯვარედინ სადგურებზე აჩერებდენ 10, 20, 30 საათობით. შემდეგ ჩვენც გავიგეთ რაშიაც იყო საქმე. ავირჩიეთ მატარებლის კომიტეტი და დავიწყეთ ქრთამის გაღება, რომ რკინის გზის ბოლშევიკ კომისრებს ჩვენი მატარებელი არ შეეჩერებინა, ამის შემდეგ საქმეც გაიჩარხა. სადგურ ტიხორეცკაიაზე, რომელიც ჩვენ ყველაზე უფრო სახიფათო ადგილათ მიგვაჩნდა ამ მხრით, ისე საჩქაროთ გაისტუმრეს ჩვენი მატარებელი, რომ ადგილობრივ სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტის განკარგულებით გამოგზავნილმა დარაჯებმა ჩხრეკა ვერ დაასრულეს ვაგონებში და ისე გაქანებული მატარებლიდან გადახტენ.

ცარიცინიდან ტუაპსემდე სულ გავიღეთ ბოლშ. კომის. ხასარგებლოთ 4,500 მანეთი. ამიტომ გადავრჩით ცოცხლები და უვნებელნი.

ვაჭარი ხალხი სულ სხვაგვარათ შეეწყო რუსეთის „სოციალიზმს“.

ჩვენთან ერთად მოსკოვიდან მოდიოდა მდიდარი ვაჭარი—სპეკულიანტი თავისი ჩემოდნებით და სხვა ნივთებით. მან მთელი ვაგონი დაიკავა, მაგრამ ამბობდა, რომ ეს ნივთები პირადი მოსახმარი საგნებიაო. სხვათა შორის, თან ჰქონდა იაშიკი 80 დიუჟინი სათამაშო კარტით. ერთ ერთ სადგურზე მას ჯარისკაცებმა ჩამოართვეს ეს იაშიკი. ვაჭარიც გაჰყვა მათ და ცოტა ხნის შემდეგ უკან დაბრუნდა. ჯარისკაცებმაც მოუტანეს იაშიკი.

მეორე სადგურზე კომისარი უფრო სასტიკი გამოდგა.

— საიდან მოგაქვთ ამოდენა კარტი —ეკითხება კომისარი ვაჭარს.

— მოსკოვიდან.

— თქვენ კარტს მე რეკვიზიციას გავუკეთებ. შეგიძლიათ მიიღოთ თითოში 2 მ. 50 კ.

— უკაცრავათ, მე არ შემიძლია თანახმა ვიყო, კარტი ჩემი არ არის. კლუბის მინდობილობით მიმაქვს.

— რომელი კლუბის.

— ბოლშევიკურის, ჯარისკაცთა—მატროსების.

— მაჩვენეთ მოწმობა.

მოწმობა ვაჭარს არ აღმოაჩნდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მან კომისარს განუცხადა:

— თქვენ ხელს მიშლით მე სისრულეში მოვიყვანო ამხანაგ სალდათების და მატროსების დავალება. ამის შესახებ მე მოვახსენებ ამხანაგებს. ისინი მოგელაპარაკებიან თქვენ. მომეცით ხელწერილი, რომ ჩემგან მიიღეთ 960 „კოლოდკა“ კარტი. დეე ეს კარტი თქვენთან დარჩეს. 3—4 დღის შემდეგ მოიკითხავენ.

როცა ხელ-წერილი მიიღო, ვაჭარმა ვაგონში სთქვა:

— სად უნდა ვათრიო ეს კარტი, ყველგან ფული უნდა იხადო. უკეთესია მიტოვება, სახლში კი, მე მყავს ერთი ბოლშევიკი ამ გვარი საქმეების გასაკეთებლათ. გამოვგზავნი, რომელიც უქრთამოდ გაარიგებს საქმეს.

ბევრ სავაჭრო ფირმას „სოციალისტურ“ რუსეთში საკუთარი ბოლშევიკები ჰყავს. ასეთი დეზერტირი—ბოლშევიკის დახმარებით სპეკულიანტი-მაროდერი სრულიათ არ ფიქრობს იმაზე, თუ რა უბედურებაა რუსეთის თავზე.

ის კარგათ ცხოვრობს იმ საწყალ ქვეყანაში, რომელიც სისხლისაგან იცლება, რომელიც გადატყორცნილია ანარქიის მორევში. („ბ“.).

ვლ. ვოიტინსკი.

## მუშათა შორის

**ამიერ-კავკასიის რკინის გზის მეექვსე „უჩასტკა“.** ამხ. მუშებო! ამა წლის იანვრის 31-ს ჩამოსული დელეგატების და აგრეთვე აქაური მუშების, ხელოსნების და მოსამსახურების ჩვენი უჩასტკის საერთო კრებაზედ იყო ამორჩეული პროფესიონალური სექციის მმართველობა.

ამავე წლის თებერ. 2-ს მმართველობა დასახელებული სექციისა შეკავშირდა და ამოირჩია პრეზიდიუმი და ხაზინადარი. თავმჯდომარეთ იყო ამორჩეული ამხანაგი კორიტინი, მის ამხანაგად სვანიშვილი, მდივნათ ა. მირზოიანცი და ხაზინადარათ ნასიძე. ამხანაგებო, 1918 წელს იანვრის 31-ს მეექვსე „უჩასტკის“ შეერთებული დელეგაცია გაეცნო პროფესიონალური სექციის წესდებას და გადასწყვიტა ამის თანახმად შეკავშირება; წესდება მიღებულ იქნა ამიერ-კავკასიის რკინის გზის ყველა მოსამსახურეთა, მუშათა და ხელოსანთა კრებაზე. აუცილებელია შეკრება სექც., რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ ძალა შეერთებაშია. „ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის“, აი ჩვენი ლოზუნგი. ამხანაგებო! ჩაეწერენით პროფესიონალური კავშირის წევრებათ! თუ თქვენ გინდათ გაიუმჯობესოთ თქვენი ნივთიერი მდგომარეობა, თუ თქვენ გინდათ გონებრივი და ზნეობრივი განვითარება, თუ თქვენ გსურთ იყვეთ განვითარებულნი და მოწინავე მუშები ჩვენი თავისუფალი სამშობლოისა! რომ სექცია შესდგეს, საჭიროა მმართველობას შეატყობინონ თავისი წადილი, თავიანთი დელეგატების პირით, რომლებიც იყვნენ მოწვეულნი ამ წლის იანვრის 31. საჭიროა დასწერონ თავიანთი სახელი, გვარი, მამის სახელი, ხელობა და ადგილი, სადაც მუშაობს. ჩასაწერი, დადგენილების თანახმად, 1 მ. და თვიურათ მანეთზე 1 კაპ. ფული გამოკლებული იქნება სიის მიხედვით, რასაკვირველია, იმათგან ვისაც უნდა შევიდეს წევრად პროფესიონალურ კავშირში. მმართველობა ხელმეორეთ მოგიწოდებთ თქვენ ჩაეწეროთ სექციების წევრებათ და იმედი აქვს, რომ მსურველნი ბლომათ იქნებიან იმიტომ, რომ მას სჯერა, რომ არც ერთი მუშა არ აიღებს ხელს იმ სიკეთეზე, რითაც მას შეუძლია ისარგებლოს.

მაშ ჩაეწერეთ ამხანაგებო კავშირში!

მე VI „უჩასტკის“ პროფესიონალური სექციის გამგეობა.

## ბურჟუები ირაზმებიან

ბოლშევიკებმა მათ მიერ ბლანკისტურ ტაქტიკით დაღუპულ რუსეთს კავკასიაც თან მიაყოლეს, მათ მიერ გაყიდულ რუსეთთან კავკასიის საუკეთესო მხარეები, ბათუმი, ყარსი და არდაგანი გაჰყიდეს ან, უკეთ რომ ვსთქვათ, საჩუქრათ მიართვეს ოსმალებს, რასაკვირ-

ველია, ჩვენდა დაუკითხავად. და ამით სასტიკი გულის წყრომა და ზიზღი დაიმსახურეს კავკასიის რევოლიუციონერ დემოკრატიის, მაგრამ იმდენი წყევა და კრულვა, იმდენი ზიზღი და გმობა არც ერთ მხარიდან არ მიუვათ მათ, რამდენიც გურიის თავისუფლებისათვის მებრძოლ და მუდამ მისთვის თავდადებულ ხალხისაგან და ჭეშმარიტ დემოკრატიისაგან.

გურიის მცხოვრებთ თავზარი დასცა ამ ამბავმა, ისინი აშკარათ ხედავდენ, თუ რა საფრთხის წინაშე დააყენა კავკასია და კერძოთ გურია ბალშევიკების ავანტიურამ, ამიტომ მათი სადღეისო ლოზუნგი შეიქმნა თავდაცვისათვის მზადება. თანახმად საოლქო კომიტეტის მოწოდებისა იმართება ყოველ სოფელში მიტინგები, სადაც მოუწოდებენ ხალხს სასტიკათ დაგმონ ბალშევიკების გამოსვლები არ აყვენ მათ დამღუპველ ტაქტიკას, არამედ—იბრძოლონ თავისუფლების და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლათ. გურია დღეს სამხედრო ბანაკს წარმოადგენს, გულ-მოდგინეთ მუშაობს სამხედრო შტაბი, ადგენენ მოხალისეთა რაზმებს, ურიგებენ თოფებს და გზავნიან ბათუმში.

გურულები სამართლიანათ გრძნობენ, რომ ბათუმის და სხვა მხარის დაკარგვით ის კარგავს დამოუკიდებლობასთან ერთად თავისუფლებას და ამიტომ ხშირათ გაიგონებთ მათგან: „რათ გვინდა ძმავ სწავლა, რათ გვინდა სახლ-კარი ან ყანა, თუ კი ოსმალების ხელში ჩავცვივითო", ამიტომაც დღეს იშვიათად შეხვდებით ისეთ სოფელს, სადაც სწავლა სწარმოებდეს, ყველა მასწავლებლები, ყველა მოწინავე ახალგაზრდანი დიდი და პატარა რაზმებში ეწერებიან და ბათუმში მიეშურებიან. გურიის ხალხს ძლიერ სწამს, რომ ოსმალეთის გაუმაძღარი იმპერიალისტები ნებით არ დასთმობენ ბათუმს და მის მხარეებს, მაგრამ ისიც სწამთ მათ, რომ თუკი მთელი კავკასიის დემოკრატია ერთ-სულოვნათ შეებრძოლება ოსმალეთის მთავრობას, თუ კი ენერგიულათ მიიღებენ თავდაცვის საქმეში მონაწილეობას, უთუოდ გაიმარჯვებენ. მაგალითისთვის მეტი არ აიქნება მოვიყვანოთ ერკეთის საზოგადოების (ჩოხატაურის რაიონი) მიტინგის დადგენილება, რომელიც მოხდა 25 თებერვალს. მრავალ-რიცხოვანმა კრებამ მიიღო შემდეგი განაჩენი: „გაითვალისწინა რა კრებამ ბალშევიკების დამღუპველი პოლიტიკა, მიიღო რა მხედველობაში, რომ მათ მიერ უპასუხისმგებლო მოქმედების ნაყოფია რუსეთის დაღუპვა და კავკასიის დიდი საფრთხის წინაშე დაყენება, კრება სასტიკ პროტესტს უცხადებს მათ და ფიცს სდებს სეიმის და რ. ს.-დ. მ. პ. წინაშე იბრძოლებს თავისუფლების და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ამ მიზნით ისინი მოუწოდებენ კავკასიის ყველა ერებს.

არსენ თოდრია.

**სურების მოხალისეთა რაზმი ბათუმში.** 1 მარტს ზემო სურებიდან ბათუმისაკენ გაემგზავრა მოხალისეთა რაზმი. ხალხმა დიდი ამბით გააცილა რაზმელები და დაავალა მედგრათ დაიცვან თავისუფლება და მოსულ მტერს ებრძოლონ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. რაზმი მარსელიეზის სიმღერით და წითელი დროშით გაუდგა გზას.

სამ მარტს რაზმი ჩავიდა ბათუმში. ამავე დღეს ჩამოვიდა ოზურგეთის რაზმი, რიცხვით 160 კაცი და ბახვის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სადგომის წინ რაზმებს სიტყვით მიმართა ამხ. ნ. რამიშვილმა და გააცნო დღევანდელი მდგომარეობა.

სურ. რაზ. რწმ. კოსტა ეზიეიშვილი.

## ამხ. იოსებ გერსამია

10 თებერვალს თფილისში ალექსანდროვის ბაღში სროლის დროს მოჰკლეს თფ. მეთერთმეტე კომისარიატის მილიციონერი ამხ. იოსებ გერსამია. ის 1910 წელს ვაკის (მუხიანის) რაიონის ს. დემოკ. ჯგუფის წევრი იყო და ენერგიულათ მუშაობდა. დიდი რევოლიუციის შემდეგ ჯარიდან გაანთავისუფლეს, დაბრუნდა თავის სოფ. ოფშკვეთს და დაიწყო ს.-დ. ორგანიზაციაში მუშაობა; მაგრამ მისი ახალგაზრდური რევოლიუციონური ბუნება სოფელში ვერ დაეტია; თფილისის მილიციაში ჩაეწერა და ენერგიულად შეუდგა მოწინააღმდეგეებთან ბრძოლას; ბრძოლის გაგრძელება არ დაცალდა: მტრის ტყვიამ მოუსპო სიცოცხლე, მარა მისი ხსოვნა სამუდამოთ დარჩება ამხანაგ-მეგობარ თანამოაზრეთა შორის.

ს. სხივიშვილი.

## ქალაქის საბჭო

(5 მარტის სხდომა).

თავმჯდომარეობს ამხ. ა. ლომთათიძე. ქალაქის თავის წინადადებით, სხდომამ ფეხზე ადგომით პატივი სცა საბჭოს თანამშრომლის ნალბადიანის ხსოვნას, რომელიც მოკლულ იქნა 19 თებ. სადარაჯოზე. შემდეგ ქალაქის თავი ნ. ელიავა აღნიშნავს 5 მარტს წლის თავის შესრულებას მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოს დაარსების შემდეგ. აღნიშნავს მათ მოღვაწეობას რევოლიუციის გაღრმავების საქმეში, ანარქიასთან ბრძოლაში და მოუწოდებს საბჭოს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს. **ხანდანიანი** (კადეტი) ეთანხმება წინადადებას, მაგრამ გაეგზავნოს დეპეშა არა როგორც ხელმძღვანელ ორგანოს, რადგანაც ასეთი ორგანო მხოლოდ ქალაქის საბჭოაო. **აზატიანი** (ს.-დ.). თქვენ ნუ დაივიწყებთ, რომ ეს ორგანო, როგორც რევოლიუციონური, სწორეთ რომ ხელმძღვანელ როლს კისრულობდა. ის ყოველ საჭირბოროტო საკითხებს ინიციატორობდა და ყოველივე გაჭირვების დროს მისგან ველოდით და კიდევაც ველზულობდით ხსნას. თუ მისასალმებელია რომელიმე ორგანო სხვაგან, მეტადრე ეკუთვნის ეს მისალმება სწორეთ თფილისის საბჭოებს, რადგანაც ასეთი წესრიგი, როგორც აქაა, არსად არ არის და მეტიც—ჩვენ სიცოცხლესაც მათ უნდა ვუმადლოდეთო. მისალმების გაგზავნა მიღებულ იქნა ერთხმათ, გარდა კადეტებისა.

სასურსათო საკითხის შესახებ სიტყვა ეძლევა ჩრდილო კავკასიიდან დაბრუნებულ დ. პოპოვს, რომელიც ამბობს: ჩვენი იმედი სურსათის შეძენისა ემყარებოდა მხოლოდ ყუბანის და თერგის ოლქებზე, მაგრამ არა თუ მარტო ჩვენი, არამედ — მთელი რიგი ოლქებისა და მხარეებისა. ყოველი მხარეებიდან იქით მიეშურებიან. ფულით იქ არავინ არ მიდის, არამედ ყველა აწვდის ამ ორ ოლქებს პურის მაგიერ სხვადასხვა საქონელს. მაგალითად, თურქესტანი აწვდის ბამბა-მატყლს, ბაქო—ნავთ-მაზუთს, ფინლიანდია—საგალანტერეო საქონელს და სხვა. რა შეგვიძლია მივაწოდოთ ჩვენ, ამიერ-კავკასიამ? ყუბანის ოლქის პირობა ასეთი იყო, რომ პურის მოცემას საფუძვლად დაუდვან ჩვენთან პოლიტიკურად შეერთება, მაგრამ ეს ვერ მოხდება, რადგანაც ანარქიაა იქ გამეფებული. მთავრობები ხშირად იცვლება. ჩრდილო კავკასია ამიერ-კავკასიას ისე უცქერის, როგორც რუსეთის სახელმწიფოს გადამრჩენს და ამიტომ სიტყვიერათ ძლიერ მონდომებული არიან ჩვენთვის პურის მოცემაში, მაგრამ, საუბედუროთ, სიტყვა სიტყვათ რჩება. მეორე დიდი ბოროტება გადმოზიდვის საქმის მოუწყობლობაა. ნოვოროსიისკში, მაგალ., 70 მილიონ ფუთამდე პურია, მაგრამ გამოსატანი საშუალება არაა. თერგის ოლქში 16 მილიონ ფუთამდე პურია და ხომ იცით, რომ რკინის გზა არ მოქმედებს ხეირიანათ. იმ დროს ცოტა იმედი დაგვრჩა სტავროპოლის გუბერნიაზე, სადაც 15 მილიონამდე პური და სიმინდი შეიძლებოდა შეგვეძინა, მაგრამ აქაც ისეთი არევ დარევაა, რომ ვერც კი აღმოაჩენ იმ დაწესებულებას, სადაც ამ საკითხის მოგვარება შეიძლებოდეს. იქ გვითხრეს, რომ ამ გუბერნიიდან დამფუძნებელ კრებაში ყველა ესერები აირჩიესო. როცა ადგილობრივი საქმეების გასაძღოლათ მოიწვევს, ისინი ბალშევიკებათ მოგვევლინენ. მე ვცადე მათთან მოლაპარაკება, მაგრამ ვერა გავაწყვე რა. საერთოთ განსვენებული დალაქოვის ენერგიული მოღვაწეობით იმედი გვქონდა, რომ ავიცილებდით კრიზისს. საქართველოს სამხედრო გზით სულ ორი-სამი ან ბევრი—ოთხი ვაგონის გადმოტანა იქნებ შევძლოთ დღეში, მაგრამ რას ეყოფა ეს ამ.-კავკასიას? არის იმედი რკ. გზების მიმოსვლის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებისა ახლო ხანში, რასაც ძლიერ ხელს უწყობენ ჩვენთან შეთანხმებით მომქმედი რკ. გზის კომიტეტები. თუ ეს გამართლდა,—სასურსათო კრიზისს ადვილათ ავიცილებთ. მაგრამ არის კიდევ ერთი მწვავე საკითხი ამ დარგში. პური ჩვენ გვიჯდება 70—80 კ., ხოლო ვყიდით 25 კ. ზარალს კისრულობს ჯერ-ჯერობით ქალაქის საბჭო, რომელმაც ოც დღეში ნახევარი მილიონი მანეთი დაამატა პურს. როგორც სჩანს, ასეთ ზარალს საბჭო ვერ აიტანს. ავანსი სრულიად აღარაა და ჩვენ, სამწუხაროდ, ვდგევართ პურის თვით ღირებულების გაყიდვის, ესე იგი, გაძვირების წინაშე. თუ ასე არ მოვიქეცით, ან სხვა საშუალება არ გამოვძებნეთ სრული კრიზისი მოგველის. ვერ ვუკრძალავთ ფეხზე პურის მოვაჭრეებს პურის გაყიდვის, რადგანაც გვეშინიან პურის შემოტანა არ შესწყვიტონ. რაც ძალი და ღონე გვქონდა, ვიმუშავეთ, მეტის გაკეთება შეუძლებელია, მაგრამ დემოკრატიას კიდევ შეუძლია ამ მდგომარეობიდანაც გამოვიდეს.

**ნ. ელიავა.** გამგეობას ჯერ პურზე ფასის აწევის შესახებ მსჯელობა არ ქონია მასალების უქონლობის გამო. ამ ერთ კვირას კიდევ ნუ გავადიდებთ ფასებს, რადგანაც პურზე ფასების მომატება ყოველ დარგში ჯამაგირების მომატების მოთხოვნებს გამოიწვევს. იქნებ რამე საშვალება გამოვნახოთ ზარალის ასანაზღაურებლათ. ვთხოვ ყველა ფრაქციებს შემდეგი სხდომისათვის თავიანთი შეხედულება წარმოადგინონ.

**პოპოვი** მიუთითებს ასეთ საშვალებებზე: ან ქალაქის სესხი, ან ქალაქის მდაბიო ხალხს ეძლეოდეს პური თვითღირებულების ნაკლებ, საშუალო მცხოვრებთ თვითღირებულებაზე, ხოლო შეძლე კლასს ღირებულებაზე მეტად.

სხდომამ საკითხის გადაჭრა შემდეგი სხდომისთვის გადასდო.

შემდეგ თავმჯდომარე კითხულობს თფილისის მე-2 ქალთა გიმნაზიის პედ. საბჭოს საჩქარო განცხადებას, რომ გიმნაზიაში დაბანაკებული ჯარი გაყვანილ იქნას.

ქალ. თავი განმარტებას იძლევა და აღნიშნავს, რომ ბინის საკითხი დღეს მეტად მწვავეთ სდგას, რადგანაც ლტოლვილები თფილისში მოეშურებიან. ყოველივე ზომებია მიღებული ეთხოვოს მთავრობას ლტოლვილების შეჩერება. ზოგიერთი კინემატოგრაფების რეკვიზიცია მოვახდინოთ, ასევე ბედი ეწევა ზოგიერთ „ფინჯან ჩაის".

მცირე კამათის შემდეგ გამგეობას დაევალა შეძლების დაგვარათ განთავისუფლებულ იქნას სასწავლებლები ფეხზე მოვაჭრეთათვის ბაჟის დადების შესახებ **სმირნოვი** ამბობს: სამწუხარო მოვლენაა ის, რომ ვაჭრობა ქუჩაში გადვიდა, რითაც: 1) ქალაქის შემოსავალი ძლიერ შეუმცირდა, 2) სურსათ-სანოვაგე უვარგისია, 3) სავაჭრო ადგილები უსუფთაოდ არის და სხვა. რომ ცოტა მაინც ლაგამი აედოს ფეხზე მოვაჭრეებს, საჭიროა დაარსდეს ბაჟი. საბჭო ერთხმათ ეთანხმება მომხსენებელს და ავალებს გამგეობას სისრულეში მოიყვანოს ის. არჩეულ იქნენ გამგეობის ორი წევრი დავიდიანცი (დაშნ.) 45 ხმით, წინააღმდეგ 3-სა, მინასარიანი (დაშნ.) 46 ხმით, წინააღმდეგ 4-სა და თავმჯდომარის ამხანაგათ იაკჯიანი (დაშნაკ.) 44 ხმით წინააღმდეგ 4-სა.

საქარელი მ.

## ამიერ-კავკასიის მეთამბაქოეთა კავშირის ყრილობა

1 მარტს, ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის შენობაში მოხდა შეერთებული ყრილობა მეთამბაქოეთა ორგანიზაციების წარმომადგენლების, კავკასიის კოოპერატივთა გამგეების და ზოგიერთი კოოპერატივთა კავშირების წარმომადგენლების. მეთამბაქოეთა ბიუროს მიერ დღის-წესრიგში იყო შემდეგი მორიგი კითხვები: მოხსენებები, მეთამბაქოეთა ორგანიზაციების დამოკიდებულება კოოპერატივთა კავშირებთან, წესდების განხილვა და შესაძლებლობა თამბაქოს ქარხნის გახსნის შესახებ კოოპერატივთან ერთად. მეთამბაქოეთა ბიუროსაგან გამოირკვა, რომ კავკასიაში ყველაზე უდიდესი წარმოება სასოფლო სამეურნეო დარგში არის თამბაქოს წარმოება, რომლის ღირებულება დახლოებით 200 მილიონ მანეთს უდრის. ამიტომ მეთამბაქოეთა ბიურომ აუცილებელ საჭიროდ მიაჩნიათ, ასეთ სერიოზულ დარგის წარმოებაში კოოპერატივები ჩაერიოს. ცნობილი კოოპერატორი კ. კანდელაკი ამ წარმოებაში კოოპერატივების ჩარევას შესაძლებლათ სცნობს. ის ვრცლად ეხება ქარხნის გახსნის საქმეს, მის დადებითი და უარყოფითი მხარეებსაც.

და ის გადაჭრით ურჩევს ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა გამგეობას ჩაერიოს ამ წარმოებაში და მიიღოს მონაწილეობა. კოოპერატივის გამგეობამაც გამოსთქვა მათ მხრივ თანხმობა, ძლიერი თათბირის შემდეგ მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა გამგეობა ღებულობს მონაწილეობას თამბაქოთა ქარხნის გახსნის საქმეში, ავალებს ინსტრუქტორებს რაიონებში ნიადაგი მოუმზადონ ამ იდეას, მასთან, ამიერ-კავკასიის მეთამბაქოეთა ბიუროს უწევს ყოველ გვარ დახმარებას თავის მონდობილ საქმის ასრულებაში. რაც შეეხება წესდების განხილვას და სხვას, ეს კითხვა გადაიდო ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა ყრილობაზე გასარჩევათ და დასამტკიცებლათ, რომელიც წარედგინება უმაღლეს მთავრობას დასამტკიცებლად.

დამსწრე.

## პროვინცია

**ს. ძეგვი** (გორის მაზრა). ეს სოფელი თავის გაშლილი და ლამაზი მიდამოებით, სუფთა ჰაერით და საუცხოვო წყაროებით ნამდვილ საგარაკო ადგილს მოგვაგონებს და მართლაც საზაფხულოთ ბევრი მოაგარაკენი ჩამოდიან აქ თფილისიდან, მით უფრო, რომ ძეგვი თფილისს ძლიერ ახლოს აკრავს, შიო მღვიმის პლატფორმიდან სულ ერთი ვერსის მანძილზე სძევს. თფილისის სიახლოვე სხვა მხრივაც ეტყობა სოფელს. ბევრი ძეგველი თფილისის დეპოში მუშაობს, ეს მუშები არ არიან მოწყვეტილი თავის სამშობლო სოფელზე, პირიქით, ყველა კვირა უქმეებს, მთელ თავის თავისუფალ დროს თავის სოფელში ატარებენ და მხურვალე მონაწილეობას იღებენ სოფლის ყოველნაირ კულტურულ მუშაობაში. სწორეთ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ძეგველები მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენენ თავის შეგნებული ორგანიზაციული მუშაობით. მიწის საკითხის გადაჭრას მოელიან დამშვიდებულნი და არავითარ ძალადობის და თვითნებობის გზას არ ადგანან, თუმცა მათ საზღვრებში შედის დიდი სამონასტრო და საბატონო მამულები. სოფლის სათავეში სდგას სოფლის მიერ არჩეული აღმასრულებელი კომიტეტი 5 კაცისაგან შემდგარი, მას გამოაქვს გადაწყვეტილება, რაიც სისრულეში მოყავს სოფლის კომისარს. აგრეთვე ყავთ მშვენივრათ დარაზმული წითელი გვარდია 45 კაცისაგან შემდგარი, რომელიც მზათაა ყოველ წუთს თავი დასდოს რევოლიუციისა და ხალხის თავისუფლების სასარგებლოდ.

გასულ კვირას 4 მარტს წითელმა გვარდიამ მრავალი პატივისმცემლების და ჭირისუფლების თანადასწრებით გადაიხადა სამოქალაქო პანაშვიდი, ამას წინათ ვერაგულათ მოკლულ ვასო მამისაშვილის საფლავზე. წარმოითქვა სიტყვები წითელ გვარდიელების მიერ, სადაც ისინი ფიცსა სდებდენ, რომ არ უღალატებენ იმ წითელ დროშას, რომელსაც ვასო გულწრფელად ემსახურებოდა... ვასო მეტად ენერგიული და სოფლისთვის დიდი სასარგებლო ადამიანი იყო, ვასოს პირადმა მტრებმა მოიყიდეს ერთი ნაძირალი და მოაკვლევინეს ის; წითელმა გვარდიამ მკვლელი მაშინვე დაიჭირა, ის გამოტყდა მკვლელობაში, აგრეთვე დაუმატა, რომ დილომის კომისარიც მე მოვკალიო და კიდევ დავალებული მქონდა ერთი კომისარის მოკვლაო. მოთმინებიდან გამოსულმა ხალხმა მას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, რაიც მაშინვე სისრულეში მოიყვანა წითელმა გვარდიამ.

სამოქალაქო პანაშვიდის გადახდის შემდეგ მოწვეულ იქნა მიტინგი. აქ ილაპარაკა თფილისიდან ჩამოსულმა ამხ. ივ. ხელაძემ, რომელმაც დაახასიათა თანამედროვე მდგომარეობა და მიუთითა იმ საშიშროებაზე, რომელიც მოელის ჩვენს ფიზიკურ არსებობას, ოსმალეთის შემოსევით; შემდეგ ილაპარაკეს ამხ. ის. მიქელაძემ და სხ. ხალხი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა იმ აზრს, რომ არამცდა-არამც უომრათ, უსისხლოთ არ დავუთმოთ მტერს ბათუმი, ყარსი და არდაგანი. მიტინგის შემდეგ მოწვეულ იქნა კრება აღმასრულებელ კომიტეტის და წითელ გვარდიისა; გაირჩა სხვადასხვა ორგანიზაციული კითხვები. აგრეთვე დაისვა კითხვა რა ვარჩიოთ: საერთო მობილიზაცია თუ სოფლებში სახალხო მილიციის მოწყობაო. კრებამ ერთხმათ დაადგინა, რომ მტრის მოსაგერებლათ საუკეთესო გზაა საერთო მობილიზაცია, რაიც ადვილათ იქნება მოყვანილი სისრულეში, თუ სოფელს კარგათ გავუთვალისწინებთ იმ უბედურებას, რაიც მოელის ხალხს თათრის მონობისგან. ამასათვის უნდა გაფართოვდეს და გაღრმავდეს სოფლათ აგიტაცია-პროპაგანდა.

ამ დღესვე შესდგა კრება ძეგვის სასოფლო სოციალ-დემოარატიული კოლექტივის ასარჩევათ. აირჩიეს კოლექტივი ოთხი პირისაგან: ის. მიქელაძე, (თავმჯდომარე), ლუკა როსტიაშვილი (ხაზინადარი), გარსევან გაბინაშვილი და პართენ ნასიძე (მდივნები).

ასეთი ნაყოფიერი და სამაგალითო მუშაობა სოფლათ თავდებია იმისა, რომ რევოლიუციას სოფლათ აქვს მკვიდრი ნიადაგი და ის არ დალევს სულს იმ არევ-დარევაში, რასაც ადგილი ჰქონდა, სამწუხაროთ, ზოგიერთ ჩვენს სოფლებში. ვუსურვოთ, რომ ძეგვის კეთილ მაგალითს მიბაძოს სხვა სოფლებმაც და დაამყარონ სოფლათ ის მკვიდრი რევოლიუციონური წყობილება, რაიც დაგვახსნის ყოველივე განსაცდელისგან.

სტუმარი.

**ქ. სიღნაღი.** 27 თებერვალს სიღნაღის მუშათა საბჭოს დადგენილებით იდღესასწაულეს რუსეთის დიდი რევოლიუციის წლის თავი. დილიდანვე დაიხურა სახელოსნოები და სავაჭროები. ქალაქი მორთული იყო წითელი დროშებით. შუადღის პირველ საათზე დანიშნული იყო პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებლის დარბაზში მიტინგი. მეტათ ცუდი ამინდი იყო და ამიტომ მიტინგს საზოგადოება ნაკლებათ დაესწრო. მიტინგი გახსნა სიღნაღის მუშათა დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. კრაწაშვილმა. თავმჯდომარეთ მიტინგისა არჩეულ იქნა ქალაქის თავი ე. სირბილაძე. ილაპარაკეს სოციალ-დემოკრატებმა, სოციალ - ფედერალისტებმა, რადიკალ დემოკრატებმა და მუშათა საბჭოს წარმომადგენლებმა. მეტად დამახასიათებელი იყო ჩვენი ნაციონალისტების ჩვეულებრივი შოვინისტური მოწოდებანი. რუსეთის დემოკრატია განადგურდა, დაირღვა ერთობა დემოკრატიისა და გვიხსნის მხოლოდ ჩვენი ტერიტორიალური გადამიჯვნაო. ჩვენებური დაშნაკელები ჩვეულებრივათ ბოიკოტით შეხვდენ ამ დღესაც. კრების დასასრულ ილაპარაკა თავმჯდომარემ, რომელმაც ჩვენ ნაციონალისტებს უპასუხა: ტყუილათ დღესასწაულობენ ჩვენი დემოკრატიის რუსეთის დემოკრატიიდან გამოთიშვას. მისმა სიტყვამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში.

ამავე საღამოს გაიმართა სიღნაღის მუშათა დეპ. საბჭოს განსაკუთრებული კრება. კრებაზე მოხსენება გააკეთა საბჭოს თავმჯდომარემ რევოლიუციის მთელი წლის მსვლელობის შესახებ.

მიმდინარე მომენტზე ილაპარაკა ე. სირბილაძემ.

საბჭოს კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

ვაღიარებთ რა თფილისის მუშათა დეპ. საბჭოს პოლიტიკას რევოლიუციისთვის მეტათ სასარგებლოთ უძღვნით სალამს ამიერ-კავკასიის ცენტრს და სეიმს. ჩვენ მხარს დაუჭერთ სეიმის მთავრობას, ვიდრე ის იმუშავებს რევოლიუციის საკეთილდღეოთ.

სოსო.

**გამოჩინებულის საზოგადოება** (ქუთ. მაზ.). 2 მარტს, სადგურ საჯევახოში შეიკრიბენ გამოჩინებულის საზოგადოების მცხოვრებნი. თანამედროვე მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გიორგი დუნდუამ და გააცნო მიტინგს ამიერ-კავკასიის მდგომარეობა. ორატორმა მოუწოდა ხალხს თავდაცვისათვის და ხალხმაც ერთხმათ აღუთქვა თავისუფლების ყოველმხრივ დაცვა. ყველა მოლაპარაკეს ხალხი სულ-განაბული უსმენდა. გადაწყდა აუცილებლად შევიდეს ჯარში ყველა 18 წლიდან ვიდრე 25 წლამდე. ახალ მოსულმა ჯარისკაცებმა გულწრფელი სურვილი გამოთქვეს ოსმალეთის მხრის საზღვრების დასაცველად წასვლაზე, მხოლოდ უპატრონოდ დატოვებულ ცოლშვილს ხალხმა ჩვენ დაბრუნებამდე მოუაროსო. ხალხმა იკისრა გამგზავრებულ ჯარისკაცის ოჯახის ყველაფრით უზრუნველ ყოფა.

შემოღებულ იქმნა შრომის ბეგარა, ასე რომ სახალხო თავისუფლების მოლაშქრე თავდამცველების ყანები უნდა დასთესოს შინ დარჩენილმა ხალხმა.

ამასთანავე დაისვა კითხვა თუ ვინმე ისურვებდა თავის ნებით „მოხალისეთ, დამცველებად" წასულიყვნენ ბათუმისაკენ, ჩაეწერა 20-მდე კაცი.

დასასრულ მიტინგმა უსურვა გამარჯვება ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ მთავრობას და სეიმს და დაავალა ამხ. თავმჯდომარეს, ილია თარგამაძეს, გულწრფელი მისალმების დეპეშა გაუგზავნოს ჩვენს მთავრობას, რომლის ხელმძღვანელობით ხალხი ელოდება აუცილებელ გამარჯვებას შინაურ და გარეულ მტრებზე.

„მელქისადექ".

**აბედათის საზოგადოება** (სენაკის მაზრა). დღემდე აქ რევოლიუციონური წესრი არ დარღვეულა. რევოლიუციონური ორგანოები თავის დროზე მოეწყო და საჭირო წესრიგი იყო დაცული. მაგრამ ამ ბოლო დროს ყველაფერი შეიცვალა. არა-ჩვეულებრივი ამბები ხდება სოფლათ: შინ დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა საშინელი ანარქია გაამეფეს. ჩვენ ბალშევიკები ვართ, რუსეთში ჩვენმა პარტიამ ჩაიგდო ხელში ძალა-უფლებაო. დადგა დრო უნდა დავაკმაყოფილოთ მუშა ხალხიო. თქვენ მოტყუებული იყავით მენშევიკების მიერ, მათ დაღუპეს ამიერ კავკ. ჩამოგვაშორეს რუსეთს და ბურჟუაზიულ წესრიგს ამყარებენო, გაახილეთ თვალები, თუ მიყობით მათ, ჩამოვაგდოთ სეიმი, გავასწმინდოთ ყველა დაწესებულებები მენშევიკებისგანო. ჩაუგდოთ ხელში ძალა-უფლება საბჭოებს და დამყარდება სრული წესიერებაო. ვინ არიან გეგეჭკორები, ვინ მისცა მათ ბონების გამოცემის ნება. არ მიიღოთ გეგეჭკორის ფულიო. რუსეთის ფული გვინდაო. ასეთ საშინელ პროვოკაციას ეწევიან ადგილობრივი ბალშევიკები, მაგრამ შეგნებული ნაწილი დემოკრატიისა მათ აძლევს პასუხს. „ამხანაგო! შენ პარტიას რუსეთში არ დაუმყარებია წესიერება და აქ ფიქრობთ დაამყაროთ იგიო? თქვენ წესიერებას და სიწყნარეს ანარქიას ეძახითო", ეუბნებიან შეგნებული გლეხები.

ჩვენებური ბალშევიკები ცდილობენ აქაც გაჩაღონ ანარქია, მაგრამ ამაოთ. შეგნებული ნაწილი დემოკრატიისა მათ არ დაუჭერს მხარს და ალაგმავს მათი ანარქო-ბლანკისტურ მოქმედებებს.

აბაშისპირელი.

**ახალციხის სოფლებში.** რადგანაც ახალციხის სოფლებში ძალიან შიშიანობა ჩამოვარდა მუსულმანების მხრივ, ამისათვის 4 მარტს ს. ღვირში გაიმართა მიტინგი. მიტინგს დაესწრო ხუთი სოფელი ყაზრისი, საკირე, ქვაბის ხევი, ღვარი და ღვირი. მიტინგზე ილაპარაკა კ. შახნაზაროვმა, რომელმაც გააცნო დღევანდელი მდგომარეობა. დასასრულ მიტინგმა შემდეგი დაადგინა: რადგანაც ჩვენ ეს ხუთი სოფელი ვეღარ მივდივართ ახალციხეში შიშის გამო, და ყოველივე კავშირი გაწყვეტილი გვაქვს, ამიტომ დროებით ვუერთდებით ბორჯომს. საზოგადოება ირჩევს ყველა სოფელში სამ-სამ კაცს, რომელმაც უნდა მოახდინოს აღწერა 19 წლიდან 25 წლამდინ ჯარში გასაწვევ ახალგაზრდების. 25 წლის მეტისანი კი წითელ გვარდიაში უნდა ჩაეწერონ. მიტინგი სრულ ნდობას ვუცხადებს ამიერ-კავკასიის სეიმს და კომისარიატს, სანამ ჩვენ ცოცხალი ვართ თავისუფალ დემოკრატიას არ ულალატებთ და გვერდში ამოუდგებით და მტკიცეთ დავიცავთ რევოლიუციას.

დ. ჯ.

## ცნობები

**ჯარის-კაცთა შესახებ.**

ჯარისკაცი ალექსი გიორგის ძე კუნიწაშვილი, წარსულ წლის გაზაფხულზე ტყვეთ ჩაუვარდა ხელში ავსტრიელებს და მის შესახებ არაფერი ცნობა არ მიმიღია. ვთხოვ მის ნაცნობ-მეგობრებს და ამხანაგებს, თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ, მაცნობოს შემდეგი მისამართით: ს. თიანეთი, გიორგი კუნიწაშვილს.

## თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტისაგან

მიმდინარე წლის 6 მარტს გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა შესცვალა პროდუქტების და ყოველივე მოსახმარ საგნების შემოტან-გატანის არსებული წესი და დაადგინა შემდეგი:

1) გუბერნიის სასურსათო კომიტეტის ნებადაურთველად თფილისიდან არ გაიტანება: კარაქი, ერბო, ყველი, საპონი, შაქარი, ჩაი, ასანთი (სფიჩქა), ფქვილი, ძაფი, თამბაქო და თამბაქოს ნაწარმოები, ნავთი, მანუფაქტურა, ტყავი და ტყავეულობა, გოგირდი, შაბიამანი, რკინეულობა (желѣзо сортовое), ლურსმანი, მავთული, სამეურნეო იარაღები, აბრეშუმის თესლი—გრენა, ოთხფეხი საქონელი სასურსათო პროდუქტები, ხახვი, მწვანილი და ფურაჟი.

2) ნებადართულია დაუბრკოლებლად გატანილ იქმნეს: საგალანტერიო საქონელი, საოჯახო ნივთები, მონპასე, პამფიუმერია (საპნის გარდა), საწერი ქაღალდი, სააფთიაქო საქონელი, კონსერვები, და მატყლი.

3) ყოველივე სასურსათო პროდუქტების და საგნების შემოტანა თფილისში ხდება დაუბრკოლებლად, მხოლოდ საჭიროა ადგილობრივ სასურსათო ორგანიზაციების ნებართვა.

ამ დადგენილებასთან ერთად ყველა აქამდე გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი და განკარგულებანი ამ საგნის შესახებ ითვლება გაუქმებულად.

(3—1) გუბერნიის სასურსათო კომიტეტი.

## პური

თფილისის ყველა უბნებში იხსნება განსაკუთრებული პურის გასაყიდი პუნქტები, იმ პირთათვის, რომლებსაც ჯერ არ აურჩევიათ სახლის კომიტეტები.

ამ პუნქტებიდან პურის მიღება კერძო პირებს შეეძლება მხოლოდ 15 მარტამდე, მანამდე კი აუცილებელია სახლის კომიტეტების არჩევნები ყველგან დასრულდეს.

(3—3) თფ. ქალ. გამგეობის სასურსათო განყოფილება.

## ვაგზლის კერძო სამკურნალო.

**შიხინოვის აფთიაქის გვერდით ვაგზლის ქუჩაზე**

## იღებენ ექიმები-სპეციალისტები:

**ექ. ბოკერია ივ.**—ქირურგიული სნეულებანი. ყოველ-დღე 2—3 საათამდე.

**ექ. ვაჩნაძე ექვ.**—შინაგანი და ნერვების სნეულებანი, ყოველ-დღე 11—12 საათ.

**ექიმი-ქალი იოსელიანი მარ.**—ქალის სნეულებანი, 10,5—11,5 საათ. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**ექ. ქლდიაშვილი გლ.**—შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ-დღე 1—2 საათ.

**რჩევა ერთი მანეთი, აპერაცია შეთანხმებით.**